საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი. 2021 წ. №184 (9303) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ამერიკისთვის საამაყონი ვყოფილვართ!

აშშ-ის საელჩო: ამომრჩევლები იმსახურებენ სამართლიანობის უფრო მაღალ სტანდარტს

5

არჩილ თალაკვაძე: რიგგარეშე არჩევნები არავითარ შემთხვევაში არ ჩატარდება!

საპატიმროს დაკავება კი არ დაემთხვა არჩევნებს, მან დაამთხვია თავის ჩამოსვლა არჩევნებს, რათა ჩრდილი მიეყენებინა საქართველოს დემოკრატიისთვის!

4



ვახტანგ ძაბირაძე: მეორე ტურში კალაძე დამაჯერებლად გაიმარჯვებს

4

გახარიას ამომრჩეველი მიბრუნდება ისევ კალაძესთან, ის არ წავა მელიასთან

პარლამენტმა ნიკა მელიას საპარლამენტო უფლებამოსილება შეუწყვიტა

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ დააკმაყოფილა ნიკა მელიას განცხადება და, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყვიტა. დადგენილებას მხარი 79-მა დეპუტატმა დაუჭირა, მოწინააღმდეგე არც ერთი კანონმდებელი არ ყოფილა.

იქამდე, საკითხი საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა განიხილა და მიიჩნია, რომ მელიას ვადამდე პარლამენტის წევრის უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს. სწორედ კომიტეტის 17 სექტემბრის დასკვნა განიხილეს პლენარულ სხდომაზე. „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ საკუთარი სურვილით სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის თაობაზე განცხადება პარლამენტში 3 აგვისტოს წარადგინა. 20 ივნისის საქმის გამო, ოპოზიციონერ მელიას დეპუტატის მანდატი ერთხელ უკვე ჩამოართვეს...

საპატიმროში საკუთარი პერსონის გადარჩენას ცდილობდა და ახალი ცოლიც კი მოიყვანა, მაგრამ მაინც არაფერი უშველის, მისი ფაქტორი დასრულდა...

2

გამწვანილებული ექსპრეზიდენტი

პანდემია და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები

5

ენერგეტიკა და მიწა: რუსეთი აფხაზეთს მიწა-წყალს ართმევს?

8

ეშხი სიტყვისა

მამუკა ვაშაკიძე

9

კალმის ტრფიალი

6

მტკიცე ქვითკირი ქართველი ერისა...

„გვარი, ნერგი კეთილი“...

გამწვანილებული ექსპრეზიდენტი

სააკაშვილი საკუთარი პერსონის გადარჩენას ცდილობდა და ახალი ცოლიც კი მოიყვანა, მაგრამ მაინც არაფერი უშველის, მისი ფაქტორი დასრულდა...

რა ბედი ელის ციხეში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს** და მოხდება თუ არა მისი უკრაინაში ექსტრადირება? საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ მას სასჯელის ბოლომდე მოხდა საქართველოს ციხეში მოუწევს, რასაც საქართველოს საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებაც დაემატა. ასევე არაა გამორიცხული, სააკაშვილს იგივე ბრალი უკრაინამაც წაუყენოს, რადგანაც მან უკრაინის საზღვარიც უკანონოდ გადალახა. ახლა მისი გათავისუფლების საკითხის აქტუალიზაციას „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს და მოსახლეობას მასშტაბური აქციების მოწყობისკენ მოუწოდებს. რუსთავის ციხესთან ენმ-მა რამდენიმეათასიანი აქცია ჩაატარა, სადაც სააკაშვილს სიტყვით მიმართეს და მალევე დაიშალნენ. ოპოზიციის ნაწილი ნიკა მელიას დაკავების დროს უფრო ერთსულოვანი იყო და მის გათავისუფლებას აქტიურად მოითხოვდნენ. სააკაშვილის შემთხვევაში კი, ასეთი ერთიანები არ არიან.

მესამე პრეზიდენტის გათავისუფლებისკენ ხელისუფლებას ჯერჯერობით არც დასავლეთი და ევროპა არ მოუწოდებს. პირიქით, ევროპარლამენტარებმა ის გააფრთხილეს, რომ საქართველოში არ ჩასულიყო. სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნების შესახებ მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** ისაუბრა, რომელიც ჯერჯერობით დიპლომატიური განცხადებით შემოიფარგლა.

როგორ დაჭოვა სააკაშვილმა უკრაინის საზღვარი?

„ოდესაში რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დირექტორის მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინის სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტზე სამსახურეობრივი გამოძიება დაიწყო“, — ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული გამოცემა Цензор.НЕТ-ის მთავარი რედაქტორი, **იური ბუტუსოვი** ავრცელებს.

„1 ოქტომბერს საქართველოში ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დააკავეს, რომელზეც სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით ძებნა იყო გამოცხადებული და აღიძრა ახალი საქმე — საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე“, — წერს ბუტუსოვი.

მისივე თქმით, სააკაშვილმა საზღვარი არალეგალურად გადაკვეთა. გავრცელებული ინფორმაციით, მან საზღვრის გადაკვეთა, შესაძლებელია, საზღვაო ბორნით შეძლო.

ბუტუსოვი აღნიშნავს, რომ უკრაინიდან სააკაშვილის გასვლის ფაქტზე უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახურმა სამსახურებრივი გამოძიება დაიწყო, რადგან სააკაშვილის უკრაინიდან გასვლა, ბაზაში არ დასტურდება. ამასთან, Цензор.НЕТ-ის მთავარი რედაქტორი წერს, რომ ან ამის გამო, ან სხვა მიზეზით, უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახურის ოდესის დეპარტამენტის უფროსს უფლებამოსილება დროებით შეუწყვიტეს.

„უკრაინის ხელისუფლებას მოუწევს, წარუდგინოს ახსნა-განმარტება საქართველს მთავრობას, თუ როგორ მოხვდა სააკაშვილი საქართველოში ისე, რომ ის უკრაინელმა მესაზღვრეებმა ვერ შენიშნეს?“, — წერს ბუტუსოვი.

საქართველოში კი უკვე გაარკვიეს, რომ სააკაშვილი საქართველოში ტრაილიერის მძღოლმა **ელგუჯა ცომაიამ** შემოიყვანა, რის გამოც იგი უკვე დააკავეს. თბილისში, სწორედ ცომაიას ბინაში იმალებოდა სააკაშვილი. ცომაიასთან ერთად, იგივე ბრალდებით, კიდევ ორი პირი, მამა-შვილი **ზურაბ** და **შალვა წოწორიები** დაუკავეს, რომლებიც ფოთის პორტში მუშაობდნენ. სავარაუდოდ, გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ მამა-შვილი ელგუჯა ცომაიასთან ერთად, სააკაშვილს გადაადგილებაში ეხმარებოდა. ცომაიას დანაშაულის დაფარვის ბრალდებით სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

როგორც ცნობილი ხდება, ცომაია წლების განმავლობაში უკრაინა-საქართველოს მარშრუტზე ტრაილერის მძღოლად მუშაობდა და უკრაინიდან საქართველოში და საქართველოდან უკრაინაში ძირითადად მწვანილი დაჰქონდა. სწორედ მის ტრაილერში, სავენტილაციო კაბინაში ჰყავდა მესამე პრეზიდენტი დამალული და საქართველოში ამ გზით შემოიყვანა. ხოლო ბათუმიდან თბილისში მისი ტრანსპორტირება სწორედ მამა-შვილმა წოწორიებმა უზრუნველყვეს.

ელგუჯა ცომაიას ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 4 წლამდე პატიმრობა ელის. მისი ადვოკატები კი ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ. ცომაიას ერთ-ერთი ადვოკატი ბექა ბასილია მიხეილ სააკაშვილსაც იცავს. ბასილია ირწმუნება, რომ ცომაიას, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს სანზონაში ბინა დაუთმო, დანაშაული არ ჩაუდენია და მსგავსი ჩანაწერი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს.

მზად არის თუ არა მმართველი გუნდი, თხოვნის შემთხვევაში სააკაშვილი ოფიციალურ კიევს გადასცეს?

„მე, როგორც უკრაინის პრეზიდენტი, მუდმივად ვაბრუნებ ჩვენს მოქალაქეებს — ეს მიხეილ სააკაშვილსაც ეხება“, — ამბობს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი. თუმცა ამ ეტაპზე ჯერჯერობით არსებობს თუ არა ორ ქვეყანას შორის კომუნიკაცია სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით, უცნობია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ვოლსკი** აცხადებს, რომ ხელისუფლებისგან ამ გადაწყვეტილებას არ ელოდება.

იურისტი **დავით ჯანდიერი** იმ პროცედურებს განმარტავს, როგორ და რა ფორმით შეიძლება სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირება. ჯანდიერი ამბობს, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსტრადირების პროცედურა გამოყენებული ვერ იქნება. ამის მიზეზი ის არის, რომ ექსტრადირების ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის მხოლოდ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს შეეხება. ან პირზე, რომელზეც დაპატიმრების ორდერია გაცემული. ასევე საჭიროა პირის გადაცემა სასჯელის აღსასრულებლად.

„ვინაიდან უკრაინაში სააკაშვილის წინააღმდეგ ჯერჯერობით საქმე ოფიციალურად აღძრული არ არის და არც იქ არის გასამართლებული, საქართველოს მისი ექსტრადირების ვალდებულება არ აქვს. ახალი ბრალი საზღვრის უკანონო კვეთა არ არის იმ დონის დანაშაული, რომ ამის გამო სააკაშვილის ექსტრადირება მოხდეს. ერთადერთი გამოყენებადი კონვენცია მოცემულ შემთხვევაში, სტრასბურგის კონვენცია იქნება, რომელიც გადაცემას ეხება, მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილის თანხმობა იქნება საჭირო. პროცედურაა ასეთი, როგორც უკრაინის მხარე, ასევე სააკაშვილი იქნებიან უფლებამოსილები, რომ ექსტრადირება მოითხოვონ. თუმცა ამისთვის საჭიროა ყველა საქმეზე განაჩენი იყოს დამდგარი და კანონიერ ძალაშიც შესული. ანუ გასაჩივრების შესაძლებლობა აღარ არსებობდეს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ექსტრადირების საკითხზე ყველას შეთანხმება მოხდეს. თუ უკრაინა და საქართველო სააკაშვილის ექსტრადირებაზე შეთანხმდნენ, მაშინ სააკაშვილის თანხმობაც საჭირო იქნება. კონვენცია ამბობს, რომ ყველა განაჩენი გამოტანილი და დასრულებული უნდა იყოს“, — ამბობს ჯანდიერი.

მისივე თქმით, მთელი ამ პროცედურის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას ვალდებულება აქვს უკრაინის ხელისუფლებას საქმის მასალები გააცნოს. იურიდიული მომსახურების აღმოჩენის და ნებისმიერ შემთხვევაში უკრაინის საკონსულოს მომსახურების უფლება აქვს. თუმცა ჯანდიერი ამბობს, რომ თუკი ქვეყნები შეთანხმდებიან და სააკაშვილიც თანახმა იქნება, კონვენციების მიერ დადგენილი ჩარჩოების დარღვევა და სააკაშვილის ექსტრადირების განხორციელება შესაძლებელია.

ანალიტიკოსი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო. მას თავისი პერსონის რებრენდიგი უნდოდა, ამიტომაც იძულებული იყო, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო. ის თუ ახლა არ ჩამოვიდოდა, 2024 წლისთვის მის ჩამსოვლას აზრი აღარ ექნებოდა. თუმცა ციხეში მყოფი სააკაშვილი, როგორც „ოცნების“, ასევე „ნაციონალების“ ამომრჩევლისთვის იმ ეფექტის მატარებელი აღარ იქნება, რაც ადრე ჰქონდა. მისი აზრით, ხელისუფლება მას უკრაინაში გააძევებს და მთელი აურზაური ამ ამბის ირგვლივ დასრულდება.

რაც შეეხება დასავლეთის რეაქციას და ხელისუფლებაზე ზეწოლას, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რაიმე განსაკუთრებულ უკმაყოფილებას მათი მხრიდან არ უნდა ველოდოთ. სააკაშვილი როგორც ევროპელებმა, ასევე ამერიკელებმა გააფრთხილეს, რომ არ დაბრუნებულიყო, ამიტომაც მის დასახსნელად აქ აღარავინ ჩამოვა.

„ყველას ეგონა ქვეყანაში დაპირისპირება და დესტაბილიზაცია დაიწყებოდა, მაგრამ მსგავსიც კი არაფერი ხდება. ამიტომ ეს კაცი არის გაჭრილი კარტი და ახლა საქართველოშიც ასე იქნება. ეს ერთი მხრივ კარგია იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ იქნება ქვეყანაში ორპოლუსიანი პოლიტიკური ველი გაირღვეს და რაღაცა ახალი დაიწყოს“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ირაკლი კობახიძე: ადამიანი, რომელიც ბრალდებულია უამრავ დანაშაულში, დღეს სასჯელს დამსახურებულად იხდის საქართველოს საპატიმრო დაწესებულებაში

„მიხეილ სააკაშვილი არის სამარცხვინო, პათოლოგი ადამიანი, რომელსაც, ქვეყნის წინაშე, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელმაც ათი ათასობით ადამიანი გააუბედურა“, — აცხადებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე. მისივე თქმით, მოსახლეობას კარგად ახსოვს მიხეილ სააკაშვილის დანაშაულები, რომელთა ჩამონათვალიც გრძელია.

„ადამიანების წამება, არაადამიანური მოპყრობა, მათი გაუპატიურება ციხეებში და ციხეებს გარეთ... ეს არის დადასტურებული ფაქტები და მისი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული. მისი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი დანაშაულია ბიზნესის ტოტალური რეკეტი. რუსეთისთვის ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ჩაბარება — ესეც დადასტურებული დანაშაულია. ეს არის კონკრეტული დანაშაულები, რომლებიც სააკაშვილსა და მის რეჟიმს აქვს ჩადენილი. ლაპარაკი ვიღაცის პოლიტპატიმრობაზე, არის სპეკულაციაზე უფრო მეტი“, — აღნიშნავს ირაკლი კობახიძე.

ლია კრიალაშვილი: მთელი საქართველო გამოვალთ გარეთ, თუ სააკაშვილი სასჯელს არ მოიხდის!..

მოკლული პოლკოვნიკის გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი ითხოვს ხელისუფლებისგან, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მისი ძმის მკვლელობისთვისაც გასამართლდეს.

„რაც ეს მაწანწალა დაიჭირეს, გიას სახელს არავინ ახსენებს, მხოლოდ გელაშვილის ცემის ფაქტს ახსენებენ; არადა, მიშას უშუალო ბრძანებით და მითითებით ჩაცხრილეს ჩემი ძმა; მიშას პირველი სიტყვები იყო, მიწიდან ამოიღეთ კრიალაშვილიო. ვითხოვ ხელისუფლებისგან ყოფილი პრეზიდენტის გასამართლებას ჩემი ძმის მკვლელობისთვისაც. მივესალმები მის დაჭერას და ციხეში ყოფნას. მთელი საქართველო გამოვალთ გარეთ, თუ ის სასჯელს არ მოიხდის, ექვსი წელი მიშასთვის არაფერი არ არის; ვანოც იყო დაკავებული და გაათავისუფლეს. ჩემი ძმის საქმეზე ვანო არ იყო დაკავებული და არც მიშას ასამართლებენ ამის გამო, როგორც ვხედავ. ჩემი ძმა იმიტომ გახდა სამიზნე, რომ არასოდეს ეგუებოდა უსამართლობას. რაც ეს მაწანწალა დაიჭირეს, გიას სახელს არავინ ახსენებს. ძალიან ბევრი დანაშაული მოხდა ამ ბოლო წლებში და მელიას გარდა, არავინ დაუსჯიათ. მიშა რატომ არ ჩაცხრილეს სახლში, ჩემი ძმა ხომ ქუჩაში ჩაცხრილეს“, — განაცხადა ლია კრიალაშვილმა.

სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტს წერილით მიმართავს

რუსთავში, სასჯელაღსრულების მეთორმეტე დაწესებულებაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, უკრაინის რეფორმების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის მადლობის წერილით მიმართავს.

„ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა თქვენი სიტყვები, რომელიც არის მაღალი კლასის ნამდვილი სახელმწიფო მოხელის გამოხმაურება საქართველოში ჩემს უკანონო დაკავებასა და დაპატიმრებაზე გაყალბებული ბრალდებების საფუძველზე, რომლებსაც რუსეთის გარდა მსოფლიოში არავინ აღიარებს.

მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი საქართველო, თუმცა ძალიან მიყვარს უკრაინა, ჩემი მეორე სამშობლო, სადაც ჩემი ცხოვრების მრავალი წელი გავატარე და სადაც მყავს ოჯახი, მეგობრები, მაქვს მოქალაქეობა, რომელსაც მე ძალიან ვაფასებ. მთელი ცხოვრება ვიამაყებ იმით, რომ მქონდა შესაძლებლობა, შემეტანა მოკრძალებული წვლილი თქვენ მიერ გატარებულ ისტორიულ ცვლილებებსა და რეფორმებში. ვინაიდან ფაქტობრივად ვარ პუტინის პირადი პატიმარი, ძალიან ვაფასებ თქვენს პრინციპულ პოზიციას უკრაინის, მთელი რეგიონისა და იმპერიის ყველა პატიმრის დაცვასთან დაკავშირებით“, — აღნიშნულია მიხეილ სააკაშვილის გვერდზე „ფეისბუქში“.

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ გ რომ უკრაინა ყველა დონეზე დააყენებს მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების საკითხს. ამასთან, ზელენსკიმ აღნიშნა, რომ სააკაშვილის საქართველოში გამგზავრების შესახებ არაფერი იცოდა და მისი გადაწყვეტილება არასწორი იყო.

არჩევნების მეორე ტური არის პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობა

აშშ-ის საელჩო: ამომრჩევლები იმსახურებენ სამართლიანობის უფრო მაღალ სტანდარტს

აშშ-ის საელჩო 2 ოქტომბერს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ქართველი ამომრჩეველი სამართლიანობის უფრო მაღალ სტანდარტს იმსახურებს.

დიპლომატიური უწყების განცხადებაში, ასევე, საუბარია იმაზეც, რომ არსებობდა ცნობები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ, რაც არჩევნების სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს. საელჩოში აცხადებენ, რომ მსგავსი ფაქტები არ შეესაბამება საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ულოცავს ქართველს ხალხს, ათასობით საარჩევნო მუშაკსა და ადგილობრივ პროფესიონალ დამკვირვებელს, ვინც მონაწილეობდა 2 ოქტომბრის არჩევნებში. ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა კოვიდპანდემიის მიუხედავად, გამოხატავს ქართველი ხალხის მტკიცე ერთგულებას დემოკრატიისა და საქართველოს ევროატლანტიკური გზის მიმართ. მუნიციპალური არჩევნები მნიშვნელოვანია, რადგან ყველაზე მეტად, ადგილობრივ დონეზეა შესაძლებელი უშუალოდ დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა საჭიროებები და ინტერესები მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მიერ. საქართველოს მოქალაქეებს ხშირად გამოუთქვამთ სურვილი, ჰქონდეთ მეტი ხმა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ამ არჩევნებში ადგილობრივ საკითხებზე ყურადღების ნაკლებობა დაკარგული შესაძლებლობაა ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები იზიარებს ეუთო/ოდირის პირველად შეფასებას, რომ არჩევნები ტექნიკურად კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ ხსაარჩევნოჯ გარემო დაზიანებული იყო ფართოდ გავრცელებული და განმეორებითი საჩივრებით დაშინების, ხმების მოსყიდვის, კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოქალაქე დამკვირვებლების პარტიის წარმომადგენლებად არასათანადო გამოყენების, არათანაბარი სამოქმედო პირობების შესახებ, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდშიც. მაშინ როცა ამომრჩეცლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ძირითადად მშვიდ გარემოში მიეცათ ხმა 2 ოქტომბერს, საარჩევნო პროცესი უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ არჩევნების დღე. ჩვენ ვიზიარებთ ოდირის წუხილს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პოლარიზებული მედიაგარემო, რესურსების მნიშვნელოვანი დისბალანსი, კამპანიის ფინანსებზე არასაკმარისი ზედამხედველობა, ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა კამპანიაში, ცნობები ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის შესახებ.

ჩვენ ვაფასებთ ადგილობრივ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით „ისფედს“, „საიას“, „მრავალეროვან საქართველოსა“, და „საერთაშორისო გამჭვირვალობას“, საზოგადოებისთვის საფუძვლიანი და დაბალანსებული შეფასებებისა და სანდო ინფორმაციის მიწოდებისთვის კამპანიის პერიოდში და არჩევნების დღეს. მათმა მნიშვნელოვანმა წვლილმა დროთა განმავლობაში გააუმჯობესა საარჩევნო პროცესი. ჩვენ შეწუხებული ვართ ცნობებით, რომ ამ პატივსაცემ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს ექმნებოდათ დაბრკოლებები არჩევნების დაკვირვების პროცესში“, — აღნიშნულია განცხადებაში.

აშშ-ის საელჩოს განცხადებით, ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანმა ცნობებმა წარმოშვა ეჭვი არჩევნების ზოგადი სამართლიანობის შესახებ.

„სახელმწიფოსა და პარტიულ რესურსებს შორის წაშლილი ზღვარი ღრმად შემაშფოთებელია. ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანმა ცნობებმა წარმოშვა ეჭვი არჩევნების ზოგადი სამართლიანობის შესახებ. ბევრ ქალაქსა და სოფელში მასწავლებლების, სამართალდამცველებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების მიმართ ზეწოლამ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხელი შეუშალა მათ თავისუფალი არჩევანის გამოხატვაში არჩევნების დღეს. ასეთი ტიპის დარღვევებს ხშირად ჰქონია ადგილი საქართველოს არჩევნებში, რაც სრულად შეუთავსებელია საქართველოს ევროატლანტიკურ იდეალებთან. არსებობს სახიფათო რისკი, რომ ეს და სხვა განმეორებადი ხასიათის საარჩევნო დარღვევები გარდაუვალი გახდეს. საქართველოში ამომრჩევლები იმსახურებენ საარჩევნო პროცესის სამართლიანობის უფრო მაღალ სტანდარტს.

ჩვენ, ასევე, ვწუხვართ იმ ქმედებებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უკვე დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის უფრო მეტად პოლარიზება და დესტაბილიზაცია, ასევე, ვწუხვართ, რომ პარტიები აქცენტს აკეთებენ პირად თავდასხმებზე და არა ამომრჩეველთა პრიორიტეტებზე. ასეთი ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზოგიერთი პარტიის ერთგულებას პრინციპისადმი, რომ პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოპოვება ან დაკარგვა საარჩევნო ყუთთან უნდა ხდებოდეს.

შექებას იმსახურებს პარლამენტის ბოლოდროინდელი ძალისხმევა საარჩევნო რეფორმების განხორციელების კუთხით, წინა არჩევნებზე გამოვლენილი ზოგიერთი ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად. მაშინ, როდესაც ზოგიერთმა გატარებულმა ზომამ მოიტანა პოზიტიური ცვლილება, საერთო წარუმატებლობა, განმეორებადი ხასიათის დარღვევების შემცირების კუთხით, განსაკუთრებით წინა საარჩევნო პერიოდში, იმედგაცრუებას იწვევს. ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტს, მათ შორის ოპოზიციურ პარტიებს კეთილსინდისიერად შეუდგნენ საქართველოს საარჩევნო სისტემის თანმიმდევრულად გაძლიერებას, განახორციელონ ძირითადი რეფორმები, მათ შორის სასამართლო რეფორმა რეკომენდებული ოდირის, ვენეციის კომისიისა და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მიერ და მიიღონ კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მომავალი საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციულობას, რისი პირობაც გაცემულია. რეფორმების პროცესი უნდა განხორციელდეს მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“, — აღნიშნულია განცხადებაში.

საელჩო აცხადებს, რომ არჩევნების მეორე ტური არის პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

„ახლა, პარტიათა პოლიტიკური ალიანსების ჩამოყალიბების დროა, რათა დაუყოვნებლივ გადაიჭრას საქართველოს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. წარსულის მსგავსად, საქართველო სიმტკიცითა და გამბედაობით უნდა გაუმკლავდეს გამოწვევებს დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე. თითოეული არჩევნები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისა და გაუმჯობესების შანსია. 2 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებმა გამოიყენეს ხმის მიცემის, საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ გამოხატვისა და მათი პოლიტიკური ლიდერების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი უფლება. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი პოლარიზაციის მცდელობებისგან თავის შეკავებისკენ, არჩევნების შემდგომი მშვიდი გარემოს შენარჩუნებისა და საარჩევნო საჩივრების სამართლიანი, მიუკერძოებელი განხილვისკენ. მეორე ტური არის შესაძლებლობა, რომ გაუმჯობესდეს პროცესი და ჩატარდეს ორგანიზებული, კონკურენტული მეორე ტური, რომლის მიმართაც საქართველოს მოქალაქეებს სრული ნდობა ექნებათ.

ამერიკის შეერთებული შტატები ამაყობს, რომ ქართველი ხალხის გვერდით დგას ათწლეულების განმავლობაში. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას ძლიერი დემოკრატიის, წარმატებული ეკონომიკისა და უსაფრთხო სტაბილური ქვეყნის მშენებლობის საქმეში“...

გელა მამუკაშვილი: მიმიხვდებოდით, ამ ამბის მოყოლით რისი თქმაც მინდა...

ადვოკატი **გელა მამუკაშვილი** სოციალურ ქსელში ერთოგ დამაფიქრებელ პოსტს აქვეყნებს:

„ძალიან მინდა, მეგრელმა ძმებმა და დებმა, გამორჩეულად კი ზუგდიდელებმა წაიკითხონ.

ნათესავი მყავს, გორში ცხოვრობს, დღეს უკვე ასაკშია და ჯანმრთელობაც აღარ აქვს სახარბიელო. ვინაობის დასახელების გარეშე მოკლედ გადმოგცემთ მის მონათხრობს...

თავდაცვის მინისტრი როცა ბრძანდებოდა, გორელი (ტყვიაველი) ირაკლი ოქრუაშვილი მშობლიურ ქალაქს ეწვია, ადმინისტრაციულ შენობაში დაიბარა ეს ჩემი ნათესავი და დამახასიათებელი პირდაპირობით განუცხადა.

— ესა და ეს უძრავი ქონება რომ გაქვს საკუთრებაში, სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადასცეო.

— ნებაყოფლობით როგორ იქნება, როცა ჩემი სურვილი არ არის გადაცემაო — შეკამათება გაუბედა ამ კაცმა.

— ნებაყოფლობით იმიტომ იქნება, რომ თუ გაჯიუტდები, ქონებას მაინც გადმოგვიფორმებ, პარალელურად კი ციხეს იხილავ, ციხიდან დასახსნელი ფული ცალკე გექნება მოსაძებნი. ამასთან, გაითვალისწინე, რომ ზრდასრული შვილები გყავსო — იყო მინისტრის მშვიდი და თავდაჯერებული პასუხი.

არანაირი შეურაცხყოფა, შეგინება, ფიზიკურ ძალადობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რამდენიმე წუთში ეს ადამიანი და მინისტრის ნდობით აღჭურვილი პირი ნოტარიუსთან ისხდნენ და საბუთებზე აწერდნენ ხელს.

სხვა არაერთი მსგავსი ფაქტი მოხდა გორში, მაგრამ არავინ უცემიათ, არ უგინებიათ, მითუფრო, გაუპატიურების ერთი ფაქტიც კი არ ყოფილა.

და ვინ არის დღეს ოქრუაშვილი?! სამშობლოზე გულაცრუებული განულებული ემიგრანტი, რომელსაც არჩევნებზე ორი-სამი ადამიანი თუ აძლევდა ხმას. ირაკლი ოქრუაშვილის ხსენებაზე მის მშობლიურ დაბაშიც კი დიდი მორალური სანქციებია დაწესებული (გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით). სუფრაზე რომ მიდიოდა, სუფრის სხვა წევრები დგებოდნენ, მასპინძელს ბოდიშს უხდიდნენ და მიდიოდნენ... მართლა ამ მთავრობას რა ვუთხარი, ეს არაკაცი თავისუფლებაზე რომ დაიარებაო, ერთმანეთს უჩუმრად უზიარებდნენ გულისნადებს... რა უნდა ექნა ოქრუაშვილს, აიკრა გუდა-ნაბადი და გაეცალა მშობლიურ გარემოს.

მიმიხვდებოდით, ამ ამბის მოყოლით რისი თქმაც მინდა... აღარ განვავრცობ და აქ დავასრულებ“.

ამ არჩევნებით დადასტურდა, რომ ყველა ბრალდება თამარ ჟვანიას მიმართ იყო ტყუილი და ფარსი, ახლა მაინც მოუხადეთ ბოდიში

2020 წელს ქალბატონ თამარ ჟვანიას მიმართ ისმოდა ბრალდებები — პირადი, პოლიტიკური, სამართლებრივი და ყველანაირი. მაშინაც ვამბობდით, რომ ბოდიში მოეხადათ მისთვის, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შალვა პაპუაშვილმა გუშინ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა.

„ამ არჩევნებით დადასტურდა ერთი რამ, გარდა იმისა, რომ საგამოძიებო კომისიის მიერ ყველა ფაქტებით დადასტურებული იყო, რომ ყველა ბრალდება ქალბატონი თამარის მიმართ იყო ფარსი, ტყუილი. აქედან კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც არც კი დაიცვეს ქალბატონი თამარი, მინდა მოვუწოდო ოპოზიციას, რომელიც იყო პირდაპირ ბრალმდებელი, ახლა მაინც მოუხადეთ ბოდიში ქალბატონ თამარ ჟვანიას და ახლა მაინც მოუხადეთ ბოდიში ბატონ გიორგი კალანდარიშვილს, რომელსაც თქვენ არ გამოუცხადეთ ნდობა“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ:

ᲠᲘ�გᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ!



ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲗᲮᲕᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ.

„ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘᲪ“, — ᲐᲡᲔ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲡᲞᲘᲙᲔᲠᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲓᲐᲘᲫᲐᲑᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲠ ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ: ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲤᲔᲮᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲐᲛᲡ, �პᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲐᲡ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲡᲔᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲔᲜᲘᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲘᲮᲓᲘᲡ.

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ, �კᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ �წᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲡ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ.

— ᲐᲛ ᲬᲣᲗᲐᲛᲓᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲞᲐᲠᲣᲚᲘᲧᲝ, ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ?

— ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ ᲬᲧᲕᲔᲢᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲛᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲪ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐᲗ.

— ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲨᲔᲐᲨᲤᲝ�თᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲝᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ. ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲔᲡ ᲨᲔᲣᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲓᲐᲫᲐᲑᲐᲕᲡ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ?

— ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲔᲚᲝ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲐ, ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲩᲘᲠᲥᲘ ᲛᲝᲡᲪᲮᲝᲗ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲕᲘᲡᲐᲮᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐ. ᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ — ᲐᲜ ᲘᲒᲔᲑᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ. ᲣᲨᲠᲝ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ 47%-Ს ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲕᲨᲘᲨᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ 43%-ᲗᲐᲜ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘ�კᲝᲡᲛᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ.

— ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ ᲨᲔᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲝᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ, ᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ.

— ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ-ᲝᲠ ᲝᲚᲥᲨᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲝᲚᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ.“ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ,“ ᲘᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ. ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ, Ი�გᲘᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ, ᲬᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲗ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲚᲐᲮᲕᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲗᲣ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲜᲐ, ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ �გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲛᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐᲗ.

— ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲝᲠᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜ?

— �პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲝᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲙᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ. ᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ. ᲛᲘᲡᲘᲠ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲗᲮᲕᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲔᲧᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲘᲚᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲦᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ.**

— ᲓᲦᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ 46%-ᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲰᲡᲕᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ? ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ?

— ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲯᲔᲠᲝᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ. ᲠᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲠᲘ�გᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ. ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 2024 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲫᲔᲗᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ



ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ: ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲘᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ

**„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲝ

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელმა კომისიამ“ მორიგი სხდომა მიუძღვნა COVID-19 პანდემიის გავლენას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე



პანდემია და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები

2021 წლის 23 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შედგა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის“ მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა COVID-19 პანდემიის გავლენას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე საქართველოში. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები, აკადემიკოსები, დარგობრივი პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები.

დღის წესრიგში იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებები პანდემიის ერაში“; და „COVID-19-ის სტრესორები და მასზე მოსახლეობის რეაგირებისა და გამკლავების სტრატეგიები“.

სხდომა გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა, აკადემიკოსმა **რამაზ ხეცურიანმა**. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ დირექტორმა ნინო მახაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ პანდემიის დაწყებამდე, საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, ყოველ მეხუთე ადამიანს აწუხებდა ფსიქიკური აშლილობა, და ამათგან, ნახევარზე ნაკლებს მიუღია რაიმე სახის მხარდაჭერა. პანდემიის დაწყებასთან ერთად, ისედაც უკვე პრობლემური ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. დაინფიცირების შიში, სოციალური იზოლაცია, საგანმანათლებლო დაწესებულებების გადასვლა ონლაინ რეჟიმში, ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, მომავლის განუსაზღვრელობა და სხვა პრობლემები უაღრესად სტრესულ გარემოს ქმნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და ლონდონის ტროპიკული მედიცინის სკოლის მკვლევარებმა, მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის, სტრესორების და სტრესულ მდგომარეობასთან გამკლავების სტრატეგიების შესწავლის მიზნით, დაგეგმეს და ჩაატარეს ეპიდემიოლოგიური კვლევა 2020 წლის მაის-ივნისში და 2021 წლის იანვარ-მარტში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო – 18 წ. ასაკის 3000-ზე მეტმა რესპონდენტმა.

კვლევის ორივე რაუნდის შედეგები მიუთითებს რესპონდენტთა შორის პანდემიასთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავრცელების მაღალ დონეზე; აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთო სურათი შარშანდელთან შედარებით წელს უფრო მეტად არის დამძიმებული, რაც მოსახლეობაში სხვადასხვა აშლილობების სიმპტომატიკის მატებით ვლინდება.

2020 წელს გამოკითხულთა 40% ადაპტაციის აშლილობის ნიშნების არსებობას ადასტურებს, 2021 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 52%-ს აღწევს. ორჯერ გაზრდილია მოსახლეობის დონეზე პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომების მაჩვენებელიც, რომელიც 12%-დან 24%-მდე გაიზარდა. შედარებით ნაკლები ზრდა დასტურდება დეპრესიის შემთხვევაში – 2020 წელს დეპრესიის სიმპტომების გავრცელების 30%-იანი მაჩვენებელი 2021 წლისათვის 33%-მდე აიწია. შფოთვითი აშლილობის ნიშნები ორივე წელს 24%-ია.

კვლევამ გამოავლინა მჭიდრო კავშირი ფსიქიკური აშლილობების ზემოთ ჩამოთვლილ სიმპტომებსა და პანდემიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სტრესორს შორის.

2020 წელს მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ ყველაზე ძლიერია შემდეგი სტრესორები:

- **ახლობლებისა და სხვა ადამიანების COVID-19-ით დაინფიცირება,**
- **გაურკვევლობა პანდემიის ხანგრძლივობასა და მისი რისკების შესახებ,**
- **შემოსავლის დაკარგვა და ეკონომიკური სიდუხჭირე,**
- **ოჯახთან და მეგობრებთან შეზღუდული კონტაქტი,**
- **სოციალური იზოლირება, და სახლში ყოფნის აუცილებლობა.**

2021 წელს მოსახლეობის უდიდესი შფოთვის საგანი იყო:

- **საყვარელი ადამიანების დაინფიცირების შიში,**
- **სხვების ინფიცირება COVID-19-ით,**
- **შეზღუდული კონტაქტი ოჯახთან და მეგობრებთან,**
- **ყოველდღიური საქმიანობის შეზღუდვა, და სახლში ყოფნა.**

მოსახლეობის დონეზე, ასევე, გაიზარდა შემდეგი სტრესორების ტვირთი:

- **ინტენსიური ზრუნვის არასათანადო შესაძლებლობა;**
- **რუტინული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;**
- **ხელისუფლებისგან არასათანადო ინფორმაციის მიღება;**

ოჯახის ძალიან ცუდმა ეკონომიკურმა ვითარებამ გვიჩვენა კავშირი COVID-19-ით გამოწვეული შფოთვის მომატებულ მაჩვენებლებთან; ასევე მაღალი იყო მიმდინარე/ქრონიკული ფიზიკური დაავადების არსებობით გამოწვეული სტრესი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა **მოზარდთა და ახალგაზრდათა ფსიქოსოციალური სერვისის „კლუბი სინერგია-თბილისის“ დირექტორმა ძეთევან ფილაურმა**. მან აღნიშნა, რომ კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს იმ დაძლევის სტრტეგიების იდენტიფიცირება, რომელიც ეხმარება ადამიანებს გაუმკლავდნენ სტრესულ სიტუაციას და შეინარჩუნონ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. როგორც კვლევის შედეგები ადასტურებს, სტრესთან გამკლავების ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა – ფიზიკური, სარელაქსაციო სავარჯიშოები, პოზიტიური აზროვნების ტექნიკები, მომავლის გეგმების შედგენა ეფექტურია შფოთვის, დეპრესიის, ადაპტაციისა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომებთან გასამკლავებლად. ეფექტური აღმოჩნდა პრეპარატების მიღება დანიშნულებისამებრ და ფსიქოლოგიური დახმარება (მაგ., ონლაინ კონსულტაციები), ფსიქიკური ჯანმრთელობის სიმპტომების შესამცირებლად;

კვლევამ, აგრეთვე, გამოავლინა გამკლავების დეზადაპტაციური სტრატეგიები კერძოდ, ალკოჰოლის მიღება დაკავშირებული იყო შფოთვის, დეპრესიის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და ადაპტაციის აშლილობის სიმპტომების გამოხატულების უფრო მაღალ ხარისხთან. ფსიქიკური აშლილობების სიმპტომების უფრო მაღალი ხარისხი დაკავშირებული იყო ისეთ სხვადასხვა პრობლემურ ქცევით გამოხატულებასთან, როგორიცაა: ტირილი, კამათი, აგრესიული ქცევა.

დასკვნის სახით აღინიშნა, რომ კვლევის ორმა რაუნდმა დაადგინა შფოთვის, დეპრესიის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და ადაპტაციის აშლილობის სიმპტომთა მაღალი დონე საქართველოს მოსახლეობის გამოკითხულ ნაწილში; შედარებით უფრო მწირ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები რესპონდენტები, მრავალწევრიანი ოჯახები და ქრონიკული ფიზიკური (მაგ; რესპირაციული დაავადებები, კარდიოვასკულური პრობლემები, დიაბეტი) და ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობების მქონე პირები უფრო ძლიერ მოწყვლადობას ავლენდნენ COVID-19-ის სტრესორების მიმართ.

COVID-19-ით გამოწვეულ შფოთვასთან გამკლავების ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა სარელაქსაციო ვარჯიშები, ფიზიკური ვარჯიში, პოზიტიური აზროვნების შენარჩუნება და სოციალური მხარდაჭერა – ასოცირდებოდა ფსიქიკური აშლილობების სიმპტომთა შემცირებულ ალბათობასთან, მაშინ როცა ალკოჰოლის მომხმარებლებს შორის უფრო მაღალია ფსიქიკური აშლილობებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გავრცელება.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა აქტიური დისკუსია. მასში მონაწილეობა მიიღეს სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა; კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა არჩილ ჩხოტუამ; კომისიის წევრებმა, აკადემიკოსებმა, ექსპერტებმა და დარგის წარმომადგენლებმა. საკითხების განხილვისა და ინტენსიური დისკუსიის შემდეგ, კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები რომლებსაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გადაუგზავნის აღმასრულებელ სტრუქტურებს.

კომისია მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას, ქართული მედიცინის წინაშე არსებული აქტუალური პრობლემების განხილვის მიზნით.

არჩილ ჩხოტუა,
პროფესორი, „საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ თავმჯდომარე

ქუთაისის უნივერსიტეტი და COVID-19

ქუთაისის უნივერსიტეტში დაარსებიდან 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „COVID-19-ის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ეკონომიკაში, ბიზნესსა და მედიცინაში“ გაიხსნა.

კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით, კონფერენციის ძირითადი ნაწილი ონლაინ ფორმატში, ქართულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობს. კონფერენცია, რომელიც ქუთაისის უნივერსიტეტის 30 წლის იუბილესადმია მიძღვნილი, უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება და მასში როგორც ქართველი, ასევე უნივერსიტეტის პარტნიორი უცხოური სასწავლებლების პროფესორები მონაწილეობენ.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, ქუთაისის უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას დღესაც უმნიშვნელოვანესი მისია აქვს – არ ჩამორჩეს დროს და პანდემიის გამოწვევებს, ისაუბროს საქართველოს უახლოეს მომავალზე მეცნიერული კვლევითა და პროგნოზებით, რომელიც სანდო რეკომენდაცია გახდება სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

„საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროცესი მიმდინარე წელს არის 8,5 %, ახლა კი ჩვენ მივყვებით განვითარებადი ქვეყნების დინამიკას, რაც საკმაოდ დამაიმედებელია, მაგრამ პანდემიით გაზრდილი საგარეო ვალი და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვანი გამოწვევებია საქართველოს ეკონომიკისათვის მომავალ წლებში. ეს თემები იქნება ჩვენს კონფერენციაზე ძირითადი დისკუსიის საგანი და ჩვენი მკვლევრები წარმოადგენენ თავიანთ ხედვებს, როგორ განვითარდება საქართველოს ეკონომიკა უახლოეს მომავალში“, – განაცხადა ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორმა.

„გვარი, ნერგი კეთილი“...

2018 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამოცემული როსტომ ჩხეიძის მცირე ფორმატის, სულ 147-გვერდიანი წიგნი „ჩემი საგვარეულო შტო (ჩხეიძეთა ბიოგრაფიული ნატეხები)“ დიდ და ღრმა გრძნობებს აღძრავს, კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს საქართველოს ისტორიის მძიმე წარსულსა და არანაკლებ რთულ აწმყოზე. ამ გრძნობებს აღრმავებს წიგნს წამძღვარებული ორი დიდი მწერლის სიტყვები: „გვარი!.. უგვაროდ ერიც რო არ იქნება რაღა თქმა უნდა, – უნდა გადარჩეს. ამასაც დაწერა უნდა. გვარი, ნერგი კეთილი, დაწერა უნდა“. „მინდა, მიწას არ მოსწყდნენ ჩემი შვილები, ახლობლები, მიწას მოწყვეტილ ადამიანს აღარც გვარი აქვს, აღარც ტომი, მინდა იგვარონ ჩემმა ნაშიერებმა, გვარი შეინახონ, მიწა წებოა წინაპართა და შთამომავალთა შესათვისებლადა, თაობათა წებოა, მე მიწას ვდარაჯობ, მიწის ნაგლეჯს დავკანკალებ, ესაა ჩემი მიზანი“ , – ოთარ ჩხეიძე;

„მე იმ გვარისა ვარ, უკან დახევა რომ არ სჩვევია“, – კონსტანტინე გამსახურდია.

როსტომ ჩხეიძე ჯერ კიდევ 2010 წელს გამოეხმაურა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ თამარ და თამაზ ლაცაბიძეების მონოგრაფიას „იტრია“ და ხში დამეჭდილ თამაზ ლაცაბიძის სტატიას „იტრიელი ჩხეიძეები (ქართლის ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის)“, მაგრამ წიგნის ინსპირაცია გახდა 2016 წელს გამოცემული თამაზ ლაცაბიძის წიგნი – „ქართლის ჩხეიძეები“, მე-2 ტომი სერიიდან „ისტორიული საგვარეულოები ხაშურის რაიონში“.

სწორედ ამ წიგნში აღმოჩნდა თავმოყრილი უამრავი საარქივო დოკუმენტური მასალა. ქართლის ჩხეიძეთა შესახებ საქართველოს საისტორიო არქივსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში არსებული დოკუმენტურების ნაწილი თავის დროზე ნიკო ბერძენიშვილმა და ისიდორე დოლიძემ გამოსცეს, გამოუქვეყნებლები კი თამაზ ლაცაბიძემ შეისწავლა: 104 ნიმუში მოიცავს 1619-1834 წლებს. ეს მასალა შესანიშნავი წყაროა ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთათვის. დიდი საქმე იქნება ჩხეიძეთა საგვარეულოს ისტორიის გაგრძელებაც და ხაშურის მხარის სხვა ისტორიული საგვარეულოების შესწავლაც.

როსტომ ჩხეიძის წიგნის პირველი თავის სათაურშივე „ჩხეიძეთა ყელქცეულურ-იოკნაპატოფული სახლი“ გვხვდება მეორე ინსპირაცია. უილიამ ფოლკნერის იოკნაპატოფა-სნოუპსების და ყელქცეულ-ჩხეიძეების დაწყვილება. მაშინვე როსტომ და პაატა ჩხეიძეების თარგმნილ ფოლკნერის არჩეულებრივი საუბრები და ინტერვიუები გამახსენა წიგნში „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ და, საერთოდ, ბიძაშვილების დიდი ინტერესი ფოლკნერისადმი.

როსტომი იხსენებს 2009 წელს ყელქცეულელ ჩხეიძეთა საგვარეულოს დამაარსებლის, როსტომ ჩხეიძის საფლავის „არქეოლოგიურ ძიებას“. საფლავის ქვას დაბადების წელი ამომტვრეოდა. იქ წაეშველებოდა ლაცაბიძის მიერ არქივში მოძიებული, 25 წლის როსტომ ჩხეიძის აზნაურობის მაძიებლობის 1852 წლის დოკუმენტი, სადაც მისი ასაკის გარდა მითითებული იყო დაბადების თარიღი უმცროსი ვაჟის ერმალოზის, რომელიც 1924 წლის აჯანყებას შეეწირა ძმისშვილებთან – რევაზსა და დიმიტრისთან ერთად. რევაზის ვაჟმა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ ეს მოვლენები აღწერა „ბორიაყში“, როსტომმა – ბიოგრაფიულ რომანში „აგვისტოს შვილები. მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“. რომანი არ ეძღვნება მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებას. ეს არის ამბავი პიროვნებისა, რომლის ბედიც გადაჯაჭვულია თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეპოქაზე.

თამაზ ლაცაბიძის მიერ მოპოვებული საბუთებით – ერეკლე II და დავით ბატონიშვილის სიგელებით, ასევე 1783 წლის ტრაქტატზე დართული თავადაზნაურთა სიით, კამერალური აღწერებით როსტომი მიჰყვება (და მკითხველსაც გაიყოლიებს) ქართლის ჩხეიძეთა ორი შტოს კვალს სოფელ იტრიიდან, სადაც ჩხეიძეები უკვე 1645 წელს ჩანან, ციხისძირიდან (ბულბულისციხე), ზემო ჭალიდან, ტეზერიდან, ყელქცეულიდან.

ბეჟან ჩხეიძეზე – ქართლელ ჩხეიძეთა სახლის მეთაურზე – მსჯელობისას როსტომი იყენებს სეხნია ჩხეიძის მატიანის ინფორმაციას: ის გახლდათ ბეჟან ჩხეიძის – ვახტანგ V შაჰნავაზის დეიდაშვილის ვაჟის გორგასალის შვილი, ბეჟანის მამა გორგასალი კი – როსტომ მეფის მამიდაშვილადაა მოხსენიებული. აქედანაა სეხნიას განსაკუთრებული კავშირი ქართლის სამეფოს სახლის წევრებთან.

სეხნიას მატიანეც ქართლ-კახეთის მეფეთა 86 წლიან თავგადასავალს, 1653-1739 წლებს მოიცავს – როსტომის, ვახტანგ V, გიორგი XI, ქაიხოსროს, ვახტანგ VI მეფობას.

ითვლებოდა, რომ სეხნია ჩხეიძის ბიოგრაფიის ერთადერთი წყარო „მეფეთა ცხოვრება“ იყო. მისი ბიოგრაფიაც სწორედ მისივე თხზულების მიხედვით აღადგინეს მარი ბროსემ და ივანე ჯავახიშვილმა 1687 წლიდან 1723 წლამდე – შაჰ-აბასის მიერ ვახტანგისათვის მეფობის ჩამორთმევისა და სეხნიას დატყვევებამდე. ამ თარიღს ვერც დავით გვრიტიშვილი და შოთა ხანთაძე გასცდნენ.

თამაზ ლაცაბიძის არქივებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოძიებული მასალებით კი ირკვევა, რომ 1736 წელს ნადირ შაჰის დროს შექმნილი მძიმე ვითარების, ქართლელთა აჯანყების და ირანელთა ქართლის აოხრების გამო სეხნია იმერეთში გადასულა. 1738 წელს დაბრუნდა, რათა ხელი მოეწერა რუსეთის იმპერატრიცა ანასთვის შედგენილი თხოვნაზე – სამშობლოში დაბრუნებულიყო ბაქარ ბატონიშვილი და სათავეში ჩადგომოდა ანტიირანულ ბრძოლს.

რაკიღა 1740-იან წლებიდან სეხნია აღარ ჩანდა წყაროებში, მისი გარდაცვალებაც ამის შემდგომ იგულისხმებოდა. ლაცაბიძემ ჩათვალა, რომ სეხნია 1739 წელს უნდა გარდაცვლილიყო, თორემ აუცილებლად გააგრძელებდა მატიანეს. დადასტურება კი პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანის“ ერთ ხელნაწერში აღმოაჩინა. „მეფეთა ცხოვრება“ 1739 წლის მარტის ამბებით მთავრდება, პაპუნა კი თხრობას იმავე წლის ივლისში მომხდარი ამბებით იწყებს და წერს, რომ სეხნია გარდაიცვალა.

თამაზ ლაცაბიძემ ასევე გაარკვია, განსაკუთრებით კი იტრიის ეკლესიაზე არსებული დოკუმენტების მოხმობთ, რომ მკვლევარები აიგივებდნენ ორ პიროვნებას – იმერელ ბეჟია ჩხეიძეს და იტრიელ ბეჟან ჩხეიძეს, რის გამოც ქართლის მეფეების მიმართ ბეჟან ჩხეიძის ურთიერთსაპირისპირო პოზიცია დაბნეულობასა და არასწორ დასკვნებს იწვევდა. რაკი ბეჟან ჩხეიძე ვახტანგ V დეიდაშვილია, ბეჟანის დედაც გიორგი სააკაძის ასული იყო, გორგასალი კი – გიორგის სიძე. გორგასალი შვილთან, ბეჟანთან ერთად თან ახლდა ჰალებში (ალეპოში)„დიდ მოურავს“ და გაიზიარა მისი ბედი.

ბერი ეგნატაშვილის მონათხრობით, როცა ვეზირმა ნადიმზე ბატონიშვილი ქაიხოსრო, გიორგი და მისი ვაჟი ავთანდილი დახოცა, გორგასალმა ქრთამით და თავისი სიცოცხლით გამოისყიდა შვილის, ბეჟანის სიცოცხლე. ბეჟანი ერთადერთი დაბრუნდა გიორგი სააკაძის ამალიდან. ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი, თუმცა გორგასლისა და ბეჟანის გვარს არცერთი არ ასახელებს. ეს გვიანდელმა მკვლევარებმა გააკეთეს, მხატვრულად კი ხორცი შეასხეს ლევან გოთუამ მოთხრობაში „უგზო ქარავანი“ და ოთარ ჩხეიძემ ესეიში „უცხო ქარავანი“.

ეს ისტორია 1924 წელს განმეორდა, როცა დაპატიმრებული მამა-შვილიდან დასახვრეტად შეცდომით პართენ გოთუა გაიყვანეს, უკან დაბრუნების დროს კი: ეს კი არა, უმცროსი გოთუა უნდა დაგეხვრიტაო, – პართენის ხვეწნა-მუდარით: აგერ ვარ და ბარემ მე დამხვრიტეთო, – ლევანი გადარჩა და ისტორიული და პირადი ამბები მოთხრობით გადმოსცა.

როგორ და რატომ გადავიდნენ ჩხეიძეები იმერეთიდან – ამ საკითხის გასარკვევად თამაზ ლაცაბიძე ჩხეიძეთა საგვარეულოს კვლევას საუკუნეთა სიღრმეშიც შეჰყვა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1588-1590 წლებში სიმონ მეფემ დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად 3-ჯერ ილაშქრა იმერეთში. იქ მას „ზემოური იმერლები“ შემოხვდნენ. მათ გვარებს უკვე ფარსადან გორგიჯანიძე ასახელებს: აბაშიძეები, ჩხეიძეები და წერეთლები. ჩხეიძეები მხარს უჭერდნენ სიმონს, რადგან ქართლის ჩხეიძეთა წინაპარი გორგასალ ჩხეიძის მამა სვიმონ მეფის სიძე, მისი დის ქმარი იყო.

როსტომ ჩხეიძე ვარაუდობს, რომ სვიმონის მარცხმა ამ კამპანიაში განაპირობა მის მომხრე ჩხეიძეთა სახლის გადმოსვლა ქართლში. გაჭეული სამსახურისათვის სიმონ მეფის წყალობის სიგელით იმასაც ასკვნის, რომ ჩხეიძეები ქართლში უკვე XVII საუკუნის 10-იანი წლებისთვის იმყოფებიან. რადგან ჩხეიძეები იყვნენ ბაგრატიონ-მუხრანელთა სისხლით ნათესავები – გორგასალ ჩხეიძის პაპა დედის მხრიდან ქართლის მეფე ლუარსაბ I იყო, ბიძები - სიმონ I და დავით X (დაუთ-ხანი), ბიძაშვილები – გიორგი X, ბაგრატ VII და როსტომი,ამდენად, ჩხეიძეთა ქართლის შტოს ქართლის მეფეებთან დაპირისპირება არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. იმერელ ჩხეიძეთა დაპირისპირებას მეფე როსტომთან კი სხვა მიზეზი ჰქონდა.

თამაზ ლაცაბიძემ გააშუქა ქართლელ ჩხეიძეთა დამკვიდრება სურამის ხეობაში, სოფელ იტრიაში, რომელიც გახდა მცირე სათავადოს ცენტრი, თუმცა ვერ იპოვა იოანე ბატონიშვილის ცნობის დოკუმენტური დადასტურება, რომ ქართლელი ჩხეიძეები რაჭის ერისთავთა განაყოფები იყვნენ.

გვარის უძველეს ფორმად მიჩნეულია „ჩხეტიძე“. მათ ერისთავობა დაიმკვიდრეს ჯერ მარგვისსა და თაკვერში, შემდეგ – ჩიხაში. შორაპნის საერისთაოშიც იმყოფებოდნენ 1330 წლამდე. დაშლის შემდეგ – მისი მნიშვნელოვანი ნაწილის მათ მფლობელობაში დარჩა. იქ შექმნეს თავიანთი სათავადო „საჩხეიძეო“ – ცენტრით ციხე-ქალაქ შორაპანში. ჩხეიძეები სწორედ იმერეთდან უნდა მოხვედრილიყვნენ რაჭაშიც და ქართლშიც.

XV საუკუნის 80-იან წლებში ივანე ჩხეიძე გახდა რაჭის ერისთავი. ერისთავი როსტომი კი წერეთელთან დაპირისპირებას შეეწირა, გადაეკიდა იმერეთის მეფე სოლომონ I, რომელმაც თვალები დათხარა და ციხე-გალავანიც დაუნგრია. წოდებრივი დამცრობა მარტო რაჭველ ჩხეიძეებს არ შეეხოთ – სურამელი და ტეზერელი ჩხეიძეები გეორგიევსკის ტრაქტატში აზნაურებად და ჯაბადრიშვილებად ჩაწერეს.

ლაცაბიძემ მიმოიხილა პაპუნა ორბელიანის თხზულებასთან ერთად ე.წ. „მცირე ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი სეხნია ჩხეიძის 6 ნუსხიდან ყველაზე ძველი – 1773 წლის „მეფეთა ცხოვრება“. მას თან ახლდა 3-გვერდიანი ქრონოლოგიური ნუსხა, მარი ბროსეს მიერ წოდებული „მცირე ქრონიკებად“, რომლის ავტორადაც ასევე სეხნია მიიჩნია. ეს თხზულება 1854 წელს გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა და შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ II ტომში, 1913 წელს გამოცემა გაიმეორა ზაქარია ჭიჭინაძემ.

შესავალში სეხნია თავის მიზანს ასახელებს: გადმოსცეს არა მარტო ღვთივკურთხეულ ქართლის მეფეთა, არამედ უცხო ქვეყნების ისტორია, როგორც საკუთარი თვალით ნანახი, ასევე – სანდო პირთა მიერ მონათხრობი.

სეხნია თავადაც აქტიურად იყო ჩაბმული დრამატულ მოვლენებში როგორც დიპლომატი, მეომარი, და ბოლოს, მემატიანე. ის ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს მეფეთა პოლიტიკურ და სალაშქრო თავგადასავლებს. ომისა და ვაჟკაცობის დიდი მოტრფიალე ზოგჯერ წვრილად აღწერს ისეთ ლაშქრობებსაც, რომელსაც საქართველოსთან კავშირი არ ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილი ბევრი რამის გამო აკრიტიკებდა სეხნიას: სარაინდო რომანის მსგავსი თხრობის სტილის, მნიშვნელოვანი მოვლენების შეუმჩნევლობის, განსაკუთრებით - ვახტანგ VI ღვაწლის დაუფასებლობისთვის.

თამაზ ლაცაბიძე წინ აღუდგა დიდი ისტორიკოსის ავტორიტეტს და მომდევნო ეპოქის ისტორიკოსთა აზრს, რომლებიც იზიარებდნენ ჯავახიშვილის შეხედულებებს, გზადაგზა გააბათილა არასწორი შენიშვნები სხვა წყაროების, მკვლევარების ინფორმაციების გამოყენებით. დაასაბუთა მისი ინფორმაციის სანდოობა განსაკუთრებით ირანის ისტორიის შესახებ აღმოსავლეთმცოდნე ვალერიან გაბაშვილის, დავით გვრიტიშვილისა და თამაზ ნატროშვილის კვლევებზე დაყრდნობით, იოსებ ქართველის ცნობებთან შეჯერებით.

როსტომ ჩხეიძემ კი თამაზ ნატროშვილის წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე“ მოიხმო, რომელშიც ხშირადაა დამოწმებული სეხნია და აღნიშნულია მემატიანეებისათვის იშვიათი იუმორი, რაც ალამაზებს „მეფეთა ცხოვრებას“.

სეხნია აღწერს გიორგი XI ძმისწულის და ვახტანგ VI ძმის, ბატონიშვილ ქაიხოსროს ცხოვრებას ირანში. „ულმობელი ნატურალიზმით“ აღწერს მის ბრძოლას პურის ხელოვნურ დეფიციტის შემქმნელ ვაჭრებთან, სეფიანთა ირანში ქართველთა რაზმის მხედართა ბრძოლას ქირმანში შემოსულ ბელუჯებთან. არ ჩქმალავს გიორგი XI სისასტიკესაც ავღანელთა ამბოხისას. სეხნია იყო ქართველ მეფეთა თანამებრძოლიც და თანამეინახეც, მათი ლხინისა და ჭირის თანაზიარი. თამაზ ნატროშვილის აზრით ქერმანის უდაბნოებში ქართველთა სამსახურმა სიმშვიდე მოუტანა საქართველოს, წელში გაიმართა და აშენდა.

თამაზ ნატროშვილი ფასდაუდებელს უწოდებს ცნობებს სეფიანთა ირანის დაცემის ისტორიისათვის, ამიტომ მას უცხოელი ავტორებიც იმოწმებენ (ლ. ლოკარტი), ქართველი მკვლევარი იმასაც აქცევს ყურადღებას, რა ხშირად მიმართავდა სეხნია ჩხეიძე „ვეფხისტყაოსნის“ ენას და სტრიქონებს, როგორ დაყვებოდა ქართული ლექსი და ოხუნჯობა უდაბნოში ბრძოლით გატანჯულ ქართველებს და განწყობას უმაღლებდა. აღწერს გიორგი XI მკვლელობას და ქართველთა გლოვას, ასევე ავღანელებთან ომში ქაიხოსრო ბატონიშვილის ტრაგიკულ დაღუპვას ცხენის წაქცევის გამო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ადევნებდა მემატიანე თვალყურს ირანში მიმდინარე ამბებს, სადაც ხშირად წყდებოდა ქართლის ბედიღბალი. სეხნია ჩხეიძე - ქართლის სამეფო კარზე მოლარეთუხუცესის სახელის მფლობელი – გარდაცვლილა 1739 წლის მარტ-ივლისს შორის და, როგორც როსტომი ასკვნის, მის შემდეგ იტრიელი ჩხეიძენი აღარ ჩანან ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე.

წიგნის ბოლო თავი „ლოდები: ახალი მითოსი“ კვლავ „ჩხეიძეთა ყელქცეულურ-იოკნაპატოფულ სახლში“ გვაბრუნებს. ახალი მითოსის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ოთარ ჩხეიძეს. როგორც გიორგი გაჩეჩილაძე ამბობდა – ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედება დასტრიალებს ორ საგანს – სამშობლოს და ქართული ენას. არის მესამეც – ყელქცეული, რომელიც ძალუმად ეწეოდა მწერალს თავისკენ.

სწორედ ამ სოფლითაა შთაგონებული მისი 24-ტომიანი საგა „მატიანე ქართლისაი“. როგორც ვახტანგ ჭელიძე წერდა ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილ ესეიში „სოფელი ქართლის გულში“, სოფლის სახელი მას შემდეგ გახმაურდა,

რაც ოთარ ჩხეიძის თხზულებათა ბოლოში წვრილი შრიფტით მიწერილი „ყელქცეული“ გამოჩნდა, რადგან ვერც მემატიანეთა თხზულებებში წააწყდებით ამ სახელს და ვერც ძველი დროის სიგელ-გუჯრებშიო. სოფელი ვერც არქიტექტურით მოიწონებს თავს და ვერც მემორიალური დაფებით, მაგრამ მის ორღობეებს ჩხეიძეების სახელოვანი სტუმრები ახსოვთ: ერეკლე ტატიშვილი, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი შატბერაშვილი და მრავალი სხვა.

„მიწა ნეგოა წინაპართა და შთამომავალთა შესათვისებლადა, თაოგათა ნეგოა, მე მიწას ვდარაჯოგ, მიწის ნაგლეჯს დავკანკალეგ, ესაა ჩემი მიზანი“, – ოთარ ჩხეიძის ეს სიტყვეგი მახსენეგს 2008 წლის ომს, რომელმაც შავი დღეეგი დაუყენა სოფელს, ჩხეიძეგის სახლის კარიც შეამტვრია და ქართლის გულს მიწეგი წაგლიჯა.

საგედნიეროდ, სოფელი გადარჩა და ოთარ ჩხეიძის სურვილს: „მინდა მიწას არ მოსწყდნენ ჩემი შვილეგი, ახლოგლეგი, მიწას მოწყვეტილ ადამიანს აღარც გვარი აქვს, აღარც ტომი, მინდა იგვარონ ჩემმა ნაშიერეგმა, გვარი შეინახონ“ – აღასრულეგენ მისი შვილეგი და შვილიშვილეგი. ეზოს შესასვლელში კვლავ დგას მუხა, გაღის გოლოში – ლოდეგი ყრია. 1924 წელს დახვრეტილი გიძა-ძმისშვილეგის – ერმალოზ, დიმიტრი და რევაზ ჩხეიძეგის სახელზე.

მათი დაღვრილი სისხლი სამშოგლოს თავისუფლეგისათვის ფუჯი არ ყოფილა, შემთხვევითი არაა, რომ 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას თაოსნოგით აღდგენილი საქართველოს დამოუკიდეგლოგის აქტზე მათი შთამომავალი პაატა ჩხეიძეც აწერს ხელს, რომელიც ძალიან ჰგავს თურმე პაპას – რევაზს.

ლადო სულაგერიძის დაუსრულეგული პოემა „ლოდეგი“ გახდა ქარგა როსტომ ჩხეიძის ერთი მცირე ესეისა. დიმიტრის სახე მის კიდევ ერთ ესეიში წარმოისახება, გიორგი ჩხეიძესთან განჯაში ჩასვლა მისი ძმისწულის – რევაზისა ეპიზოდად ჩაურთო ელგუჯა თავგერიძის გიოგრაფიულ რომანისადმი „აირევი ივერია (ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“) მიძღვნილ ნარკვევში, თამაზ ჩხენკელის ლიტერატურულულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტად ნაგულისხმევ ესეიში აღწერილია თამაზ ჩხენკელისა და ზურაგ კიკნაძის სტუმრობა და ლხინი ათასწლოვანი „ქართლის მოქცევამდელი“ მუხის ქვეშ.

ოთარ ჩხეიძეს ნოველების მთელი ციკლი აქვს „ჩემი სოფლის ეტიუდების“ სახელწოდებით.

ბევრი რამ ჩხეიძეთა ყელქცეულის გუდისა კი როსტომ ჩხეიძის „აგვისტოს შვილების“ ფურცლებზე მოხვდა. ყელქცეულის მუხა შრიალებს მისი მინიატურების კრებულშიც „მზის საფეხურები“. მასში გადაშლილია ჩხეიძეების კარმიდამო მუხიდან ლოდებამდე თავისი ყელქცეულურ-იოკნაპატოფური მისტიკური იერით...

როსტომ ჩხეიძის ამ წიგნის „ჩემი საგვარეულო შტო (ჩხეიძეთა გიოგრაფიული ნატეხები)“ რედაქტორია პაატა ჩხეიძე. გიძაშვილეგის ამ ტანდემმა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი და თარგმანი შესძინა ქართულ ლიტერატურას და აქაც უპრიანი იყო პაატას გამოჩენა.

ნატეხებს თარიღიც უზის 2018 წლის 14-21 იანვარი, ანუ წიგნი ერთ კვირაში, ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. რაკი ვიცი – როგორ ემზადება როსტომ ჩხეიძე წიგნის დაწერამდე, რამდენ მასალას აგროვებს, რამდენ რამეს ეცნობა – არ მიკვირს. როსტომი ისეთი სისწრაფით წერს სქელტანიან გიოგრაფიულ რომანებს თუ მცირე ნარკვევებს – წაკითხვასაც ვერ ვასწრებ. ამ ბოლო წლებში იმდენი საქმე დამეყარა – წაკითხვას კი არა, მისი ნაწერებისთვის თვალის მიდევნებასაც ვეღარ ვახერხებ...

ეს წიგნი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიული საგვარეულოების შესწავლას: მარტო ერთი – ჩხეიძეების – გვარის კვლევამ არამარტო გვარის, არამედ საქართველოს ისტორიის ერთი დიდი და ტრაგიკული მონაკვეთი ახლებურდ დაგვანახა. დაგვანახა სეხნია ჩხეიძის ! მემატიანის მრავალმხრივი პორტრეტი, წყაროების წაკითხვისა და შეჯერების მაგალითი, დაგვანახა არაჩვეულებრივი მკვლევარი თამაზ ლაცაბიძე, რომლის მსგავსნი ძალიან ცოტანი არიან, ისევე როგორც ოქროსმაძიებელნი, რასაც არაერთხელ ახსენებს როსტომი. ძიების პროცესის მომხიბვლელობა და თუნდაც პატარა სიახლის აღმოჩენა ხომ ყველა მკვლევარს იზიდავს, რეალიები კი მართლა ოქროს მარცვლებივით ელიან მათი ხელის შეხებასა და მზის სინათლეზე ამოტანას.

ამ ბოლო წლებში საგვარეულო და სათემო კავშირების შექმნამ განსაკუთრებით გაზარდა ინტერესი არამარტო ისტორიული საგვარეულოებისადმი, არამედ, საერთოდ, ქართული გვარებისადმი. გამოიცა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი თვალსაწიერი. ვუსურვოთ წარმატება ბატონ თამაზ ლაცაბიძეს ამ დიდებულ და საშვილიშვილო საქმეში; ვისურვოთ, რომ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი დაბეჭდოს როსტომ ჩხეიძემ – მერე რა, თუ ვერ დავეწევით და ვერ მოვასწრებთ ყველაფრის წაკითხვას – ასეთი წიგნები ხომ მარტო დღევანდელ მკითხველზე არაა გათვლილი!

ვინატროთ – სხვა გვარებსაც გამოუჩდნენ ასეთი მოჭირნახულე პიროვნებები, რომ გადმოცემებისა და ლეგენდების იქით, წყაროებითა და დოკუმენტებით გამაგრებული გამოკვლევები მრავლად დაიბეჭდოს. მაშინ ყოველგვარი პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი, პირუთვნელი საქართველოს ისტორიის დაწერაც გაადვილდება. დიახ, გვარი, როგორც მტკიცე ქვითკირი ქართველი ერისა, უნდა გადარჩეს და „ამასაც დაწერა უნდა“...

რუსუდან დაუშვილი

პოეზიერსეზი დირსეულთა წარმოსაჩენად

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად!

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადების მიღება გრძელდება.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა კომისიამ გამოაცხადა, რომლის პირველი სხდომაც 1 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა და რომელსაც ფილოლოგი **ვალერი ასათიანი** უხელმძღვანელებს.

პრემია ენიჭება პირს **ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, თეატრალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების ან არქიტექტურის დარგში** შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომლის მხატვრულმა ღირსებებმა საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

პრემია გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ, არა უმეტეს ხუთისა, თითოეული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს პრემიას, გადაეცემა პრემიის ლაურეატის დიპლომი, სამკერდე ნიშანი და შესაბამისი ფულადი გასაცემელი.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაწარმოებები მიიღება ელექტრონულად 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან – 29 ოქტომბრის ჩათვლით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@president.gov.ge, ხოლო ის ნაწარმოები, რომელიც თავისი მოცულობის ან სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფორმით, მიიღება მატერიალურად ელექტრონული განაცხადის გადმოგზავნის შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ქ. თბილისი, ათონელის ქ. №25, საფოსტო ინდექსი – 0114.

საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად

ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საკონკურსო განაცხადების მიღება გრძელდება.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიის 9 კაციანი შემადგენლობა დამტკიცდა.

კომისიას, რომელმაც პირველ ოქტომბერს ორბელიანების სასახლეში პირველი სხდომა გამართა და კონკურსი გამოაცხადა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, იმუნოლოგი **ნუნუ მიცკევიჩი** უხელმძღვანელებს.

კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ნათია სულავას განცხადებით, საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭება პირს **საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინრო მეცნიერების დარგში** მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

პრემია გაიცემა ყოველწლიურად და მას შეიძლება ჰყავდეს ერთი, ან ორი გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო, თითოეულს 10 000 ლარის ოდენობით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაშრომები მიიღება ელექტრონულად 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან – 29 ოქტომბრის ჩათვლით, ელექტრონულ მისამართზე: info@president.gov.ge, ხოლო ის ნაშრომი, რომელიც თავისი მოცულობის, ან სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფორმით, მიიღება მატერიალურად ელექტრონული განაცხადის გადმოგზავნის შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ქ. თბილისი, ათონელის ქ. №25, საფოსტო ინდექსი – 0114.

„შემოდგომის ლეგენდა 2021“ დაიწყო

28 სექტემბრიდან სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა 2021“ დაიწყო.

კონკურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აჭარა ჯგუფის, კერძოდ მისი ერთ-ერთი ბრენდის – „რუმს კოხტას“ ერთობლივი ორგანიზებით იმართება და 2009 წლიდან მოყოლებული მე-13-ჯერ ჩატარდება.

„წელს კონკურსს ახალი პარტნიორი ჰყავს, შესაბამისად, იმპროვიზაციული ტური ბაკურიანში, კოხტას მთის ძირში განთავსებულ „რუმს კოხტას“ სასტუმროში ჩატარდება. კონკურსის ორგანიზატორები ფინალისტებსა და ჟიურის წევრებს სამ დაუვიწყარ დღეს სთავაზობენ, რომელიც გაჯერებული იქნება ბუნებით, სიმშვიდით, ლიტერატურაზე საუბრებითა და ახალი იდეებით.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი ტრადიციულად ორ ეტაპად იმართება. პირველ ტურში სტუდენტები კონკურსის აპლიკაციას ავსებენ და ნებისმიერი სახის პროზაულ ნაშრომს აგზავნიან (თემა და ჟანრი შეუზღუდავია); შემოსული ნაშრომებიდან, შიდა შესარჩევი ჟიური გამოავლენს 10 ფინალისტს, რომლებიც იმპროვიზაციულ ტურში გადაიანაცვლებენ და ახალ ნაშრომებს უკვე ბაკურიანში, ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე შექმნიან. კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულადი პრემია 1000, 700 და 500 ლარის ოდენობით და პარტნიორის სპეციალური პრიზები გადაეცემათ.

ლეგენდა განკუთვნილია მათთვის, ვინც ქმნის პროზაულ ნაშრომებს, სურს მიიღოს ლიტერატურული გამოცდილება, გაიცნოს სფეროს წარმომადგენლები და გააცნოს თავისი ნაშრომი საქართველოს. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს შეუძლიათ“ , – ნათქვამია თსუ-ის ინფორმაციაში.

ახალი ნობელიანტები

ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები **დევიდ ჯულიუსი** და **არდემ პატაპუტიანი** გახდნენ.

მეცნიერებს პრემია სითბური და შეხების რეცეპტორების აღმოჩენისათვის გადაეცათ.

„2021 წლის ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ერთობლივად გადაეცა დევიდ ჯულიუსსა და არდემ პატაპუტიანს ტემპერატურისა და შეხების რეცეპტორების აღმოჩენისათვის“, – ნათქვამია ნობელის კომიტეტის განცხადებაში.

ახალი აღმოჩენის თანახმად, სითბომ და სიცივემ შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანში ნერვული იმპულსები, რაც მას გარესამყაროს აღქმასა და ადაპტირებაში ეხმარება.

ნობელის პრემიის ლაურეატები სხვადასხვა დარგში მომდევნო დღეებში, 4-დან 11 ოქტომბრამდე გახდება ცნობილი.

ენერგეტიკა და მინა: რუსეთი აფხაზეთს მინა-წყალს ართმევს?

აფხაზეთში ახალი მსხვილი სკანდალი მწიფდება. ამჯერად იგი ერთდროულად რამდენიმე მოუგვარებელ პრობლემას უკავშირდება, რომელიც არა მარტო მოსახლეობის ყოფას ართულებს, არამედ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხესაც ქმნის – იმ სახელმწიფოებრიობისა, რომლისთვისაც აფხაზმა ხალხმა ასწლეულობით იბრძოლა.

პირველი პრობლემა არახალია. ენერგეტიკული კრიზისი დიდი ხანია, აზანზარებს აფხაზეთს, ფლობს რა ყოველდღიურად რამდენიმე საათით წყვდიადში მთელს რაიონებს. თუმცა თუ ადრე ამ პრობლემებს ჯვრის წყალსაცავში წყლის ხან – სიმწირეს, ხანაც სიჭარბეს უკავშირებდნენ, ახლა სახეზეა სრული კოლაფსი, რომელსაც ხელისუფლება საკუთარი ძალით უკვე ვეღარ უმკლავდება.

აფხაზეთში ელექტროენერგიას კვლავინდებურად თიშავენ ყოველდღიურად 2-2 საათით: რაიონების მონაცვლეობით რესპუბლიკას დილის 1-დან 7 საათამდე აბნელებენ. და ეს – ზაფხულის პერიოდში, როცა მოხმარება ყველა პარამეტრით დაბალია. დაამატეთ ამას სოკოებივით მომრავლებული მაინინგ-ფერმების პრობლემა – და ვიღებთ ენერგოკრიზისს, რომელიც შემოდგომით მხოლოდ გამძაფრდება. როგორც ენერგეტიკოსები ამბობენ, ოქტომბერში გათიშვები დღე-ღამეში 4-6 საათს მიაღწევს.

კრიზისის გაღრმავების ფონზე ხელისუფლება ვერ პოულობს სახსრებს იმ მრიცხველების დასაყენებლად, რომლებიც პრობლემას დროებით მაინც შეამსუბუქებდა. პარლამენტის მიერ ამ მიზნებისთვის განსაზღვრული თანხები მთავრობამ სადღაც გადაამისამართა და თან ის 100 მლნ რუბლიც დახარჯა, რომელიც აჩიგვარას ხაზის მშენებლობისთვის იყო გათვალისწინებული.

„მთელი ეს კრიზისი დღეს არ წარმოქმნილა, მაგრამ ხელისუფლებამ მდგომარეობა მხოლოდ დაამძიმა, დაუშვა რა მაინინგი და მდიდრების მიერ ჩვენი შუქის გამოყენება. შედეგად, ისინი ახლა განათებულ შენობებში სხედან, გენერატორებითა და მაინინგით ნაშოვნი მილიონებით, რიგითი მოქალაქეები კი კაპიკებს ითვლიან და გადარჩენას ცდილობენ. დარწმუნებული ვარ, ეს გამიზნულად გაკეთდა, რომ ჩვენი ენერგეტიკა საბოლოოდ ჩაძირონ და მერე მათ მიერვე შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის მოტივით მიჰყიდონ რუსებს, რომლებიც მასზე უკვე დიდი ხანია, ნადირობენ“, – თვლის ჩვენი თანამოსაუბრე არკადი. **მისივე აზრთ, აფხაზური ენერგეტიკა უკვე კარგა ხნის გაყიდული იქნებოდა, რომ არა პარლამენტი, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ მცდელობებს ყოველმხრივ ბლოკავს.**

ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობა ამ აზრს იზიარებს და საამისოდ საკმაოდ მყარი საფუძველი არსებობს. ბოლო თვეებში აფხაზეთში მოსკოვიდან რეგულარულად ჩადიოდნენ ათასგვარი სახის კომისიები ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის შესასწავლად და იმ წინადადებების გასაჟღერებლად, რომლებზეც აფხაზეთის ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, უარს ვერ იტყოდა.

განგაშის ზარი იმ დროს გაისმა, როცა გაჩნდა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმად, ჰესების რეკონსტრუქციაზე სამი კომპანია აცხადებს პრეტენზიას: აფხაზური „Сухум гэс“, რუსული „Чистая энергия“ და ქართული „ენგურჰესი“. საუბარი თითქოსდა დანგრეული სადგურების აღდგენაზე მიდის, თუმცა პარლამენტის რიგი დეპუტატები და ოპოზიციური ორგანიზაციები დარწუნებულები არიან, რომ რეალურად, საქმე გვაქვს ფარული გაყიდვის მცდელობასთან.

„პრობლემის მოგვარების ნაცვლად, ჩვენს ხელისუფლებას ტარიფების გაზრდა სურს. სად გაგონილა, ხელისუფლების შეცდომებისთვის რიგითი მოქალაქეები, პენსიონერები, ინვალიდები, ბავშვები აგებდნენ პასუხს?! ვერ გამიგია, ეს უვიცობით მოსდით, თუ გამიზნულად უგდებენ რუსებს ჩვენს ქვეყანას ხელში?“, – აღშფოთებულია ჩვენი თანამოსაუბრე მაკტინა.

და ეს უსაფუძვლო შფოთვა როდია. ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ დაადასტურა ხელისუფლების გადაწყვეტილება ტარიფების გაზრდის შესახებ. საბოლოო ციფრები ჯერ არ დასახელებულა, თუმცა წინასწარი ინფორმაციით, 1 კილოვატის ფასი 40 რუსული კაპიკიდან 1 რუბლამდე და 70 კაპიკამდე გაიზრდება.

„ჩვენს რუს მეგობრებთან ერთად მოვამზადეთ ენერგეტიკის განვითარების საგზაო რუკა, რომელიც ეტაპობრივ მიდგომას ითვალისწინებს. ესაა ქვეყანაში ეკონომიკურად დასაბუთებული ტარიფის დაწესება, მაგრამ იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე ტარიფი – მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებისთვის“, – განაცხადა ასლან ბჟანიამ.

გამოდის, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა ენერგოკრიზისის დაძლევას მოსახლეობის ხარჯზე გეგმავს – სხვა, როგორც ჩანს, ვერაფერი მოიფიქრა. მაგრამ არსებობს ეჭვები, რომ ამ გადაწყვეტილებამდე სოხუმი თავად არ მისულა – ეს „გამოსავალი“ მოსკოვიდან უკარნახეს, სადაც ესოდენ ხშირად უყვარს სიარული პრეზიდენტ ბჟანიას.

„ხალხის ბედზე ზრუნვის“ შესახებ რაოდენ ლამაზ ფრაზებსაც არ უნდა ამოეფარონ, ნათელია, რომ ყველაფერი ჩვენი ენერგეტიკის რუსებისთვის მიყიდვისკენ მიდის. და ამ ყველაფერს „ერთადერთ გამოსავლად“ ასაღებენ, რაც ტყუილია! სუვერენიტეტი პრაქტიკულად ისედაც დაკარგული გვაქვს და ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ გვრჩება, ენერგოდამოუკიდებლობაა. მაგრამ როგორც ჩანს, მალე რუსების ხელი მასაც მისწვდება. და დავრჩებით ამაყი აფხაზები დროშის, ღერბისა და ნომინალური სახელმწიფოს ამარა“, – შიშობს ჩვენი რესპონდენტი მარია.

გამოდის, რომ ბოლო წლებში სხვადასხვა რანგის რუსი პოლიტიკოსები აფხაზეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას უძახიან, მოსკოვი კი ამასობაში რესპუბლიკას ჯერ ნაკუწ-ნაკუწ ართმევდა მიწას (სოფელ აიბღას მიტაცების ფაქტზე ჩვენ ხშირად ვწერდით. რედ.), ახლა კი უკვე სუვერენიტეტის უკანასკნელი ნიშანი – ენერგეტიკაც ამოიღო მიზანში და როგორც ჩანს, აფხაზეთის ხელმძღვანელობის ხელით წარმატებით აღწევს კიდეც მიზანს.

აი, ასეთია დღეს აფხაზური რეალობა, ხოლო ისინი, ვინც საწინააღმდეგოს წერენ, ან საქმის კურსში არ არიან რეალური ვითარების შესახებ, ან თავს იკატუნებენ.

კრისტინა ავიძბა

გახსნეს „პანდორას დოკუმენტები“

გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმმა (ICIJ) 35 მოქმედი და ყოფილი მსოფლიო ლიდერის ოფშორულ ანგარიშებთან კავშირების შესახებ დოკუმენტები გამოაქვეყნა („პანდორას დოკუმენტები“). გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გავრცელებული მასალები მსოფლიოს 91 ქვეყანაში 330-ზე მეტი პოლიტიკოსის ფინანსური ოპერაციების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

საერთაშორისო გამოძიებაში 600-ზე მეტი ჟურნალისტი მონაწილეობდა. მათ 11 მილიონზე მეტი კონფიდენციალური დოკუმენტი მოიპოვეს.

ამ მომენტისთვის გავრცელებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იორდანიის მეფე აბდულამ ოფშორული ანგარიშები გამოიყენა, რათა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ძვირადღირებულ სახლებში 100 მილიონზე მეტი დოლარი დაეხარჯა. დოკუმენტებში ასევეა მოცემული ინფორმაცია ჩეხეთის პრემიერ-მინისტრ ბაბიშზე, რომელმაც ოფშორული ანგარიშების გამოყენებით 22 მილიონი დოლარის ღირებულების უძრავი ქონება შეიძინა საფრანგეთში, კანის მახლობლად.

უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ასევე მოხსენიებულია „პანდორას დოკუმენტებში“. დოკუმენტების თანახმად, საარჩევნო კამპანიის დროს ვოლოდიმირ ზელენსკიმ ოფშორულ კომპანიაში თავისი 25%-იანი წილი ახლო მეგობარს გადასცა, რომელიც ახლა პრეზიდენტის მთავარ მრჩევლად მუშაობს. დოკუმენტებში ასევეა საუბარი რუსეთის პრეზიდენტის ახლო გარემოცვის შესახებ. კერძოდ, დოკუმენტებში მოხსენიებულია ვლადიმერ პუტინის საუკეთესო მეგობარი, აწგარდაცვლილი პეტრე კოლბინი, რომელსაც პუტინის „საფულეს“ უწოდებდნენ და ქალი, რომელთანაც რუსეთის ლიდერს, სავარაუდოდ, ოდესღაც რომანტიკული ურთიერთობები ჰქონდა.

სამიტმა „თალიბანს“ მკაფიო მესიჯი უნდა გაუგზავნოს

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ G20-ის სამიტმა „თალიბანს“ საერთაშორისო აღიარების პირობების შესახებ მკაფიო მესიჯი უნდა გაუგზავნოს.

საფრანგეთის პრეზიდენტის განმარტებით, აღნიშნული პირობები ისეთ საკითხებს უნდა შეიცავდეს, როგორიცაა ქალთა თანასწორობა, უცხოურ ჰუმანიტარულ ოპერაციებზე წვდომა და ისლამისტურ ტერორისტულ ჯგუფებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა.

„მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო აღიარებას თავისი ფასი უნდა ჰქონდეს და ავღანელი ქალების ღირსება, ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ერთ-ერთი საკითხი უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ“, – აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა. „დიდი ოცეულის“ (G20) სამიტი მიმდინარე თვეს იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართება.

ტაივანი ჩინეთს ეკუთვნის!

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ჰუა ჩუნინმა განაცხადა, რომ ტაივანი ჩინეთს ეკუთვნის და აშშ-მა უპასუხისმგებლო განცხადებები არ უნდა გააკეთოს. **„აშშ-ის მხრიდან შესაბამისი განცხადებები სერიოზულად არღვევს ერთი ჩინეთის პრინციპს და ჩინეთისა და ამერიკის სამი ერთობლივი კომუნიკეს დებულებებს და უკიდურესად მცდარ და უპასუხისმგებლო სიგნალს აგზავნის“,** – აღნიშნა ჩინეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ჰუა ჩუნინის თქმით, ერთი ჩინეთის პრინციპი ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების პოლიტიკური საძირკველია.

იტალია პუჩდემონის ესპანეთისთვის გადაცემას არ აპირებს

იტალიის ქალაქ სასარის სააპელაციო სასამართლომ კატალონიის ყოფილი მეთაური, კარლეს პუჩდემონის ესპანეთში ექსტრადიციის პროცესი შეაჩერა.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საქმის წარმოება მანამ შეჩერდება, სანამ ორი საკითხი არ გაირკვევა: კარლეს პუჩდემონისთვის ევროდეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი და ესპანეთის უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული მისი დაკავების ორდერის ლეგიტიმურობა.

24 სექტემბერს, კატალონიის ყოფილი მეთაური, კარლეს პუჩდემონი იტალიის პოლიციამ სარდინიაზე დააკავა. ესპანეთი კატალონიის ყოფილ ლიდერს, კატალონიის ესპანეთიდან გამოყოფის საკითხზე 2017 წელს ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის ორგანიზებაში სდებს ბრალს. ესპანეთის მთავრობაში აცხადებენ, რომ კარლეს პუჩდემონი ესპანეთის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს და მის ექსტრადიციას ითხოვს.

ესპანეთის ხელისუფლებამ 2017 წლის ნოემბერში კატალონიის ადმინისტრაცია დაითხოვა და რეგიონულ პარლამენტს უფლებამოსილება შეუწყვიტა. ამის მიზეზი კატალონიის დამოუკიდებლობისთვის ჩატარებული რეფერენდუმი გახდა. სისხლის სამართლის დევნა 25 პირის მიმართ დაიწყო. კატალონიის ლიდერმა, კარლეს პუჩდემონმა და მისმა ოთხმა მომხრემ ბელგიაში გაქცევა მოახერხეს. 2018 წლის 14 ოქტომბერს ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კატალონიელ ლიდერებს ამბოხისთვის 9-დან 13 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა და კატალონიის ყოფილი ლიდერის, კარლეს პუჩდემონის დაკავების საერთაშორისო და ევროპული ორდერები გასცა. ამის შემდეგ კატალონიაში საპროტესტო აქციები დაიწყო. 18 ოქტომბერს პუჩდემონი ბელგიის პოლიციას ჩაბარდა.



კალმის ტრფიალი

ძღვნად ჩემს ლამაზ მეგობარს

გაცნობით 30 წლის წინათ გავიცანი, ანუ „შარშანდელი“ საუკუნის ოთხმოცდათორმეტში. ახლა ის სამოცისა ხდება. იმხანად ერთ-ერთი პარტიული ჟურნალიდან ისევ ჩემს ძველ ადგილას დავბრუნდი, სადაც მთელი 23 წელიწადი ვმუშაობდი. გაზეთი „კომუნისტი“ „საქართველოს რესპუბლიკად“ სახელშეცვლილი დამხვდა. სხვათა შორის, იმ ჩემი ძველი რედაქციიდან რომ მივდიოდი, გაზეთის ერთ-ერთმა სტილისტმა ქალმა, გვარად, მგონი, გოგიჩაიშვილმა, ბანქო გამიშალა და მითხრა, აქ ისევ თორმეტი წლის შემდეგ დაბრუნდებიო, რაც სასწაულად ახდა. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ მომავლის განჭვრეტის უნარის მქონე ადამიანები არიან!

სწორედ მაშინ, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის მეხუთე სართულიდან ისევ მეოთხეზე რომ გადმოვდიოდი, კიბეებზე შევეჩეხე ერთ ფრიად გამორჩეულ ახალგაზრდა კაცს, ტანმაღალს, თხელს, ლამაზს, რომელმაც სარედაქციო ბარგი-ბარხანის გადმოტანაში ხელიც კი წამაშველა. ჩემდა უნებურად რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ფიცჯერალდი იყო, ამერიკელი მწერალი სკოტ ფიცჯერალდი, რომლის რომანის „დიდი გეტსბის“ კითხვა ის-ის იყო დავამთავრე, ზემოთ ნაწინასწარმეტყველები თორმეტი წელიწადისა არ იყოს, ეს საოცარი მსგავსებაც ერთგვარ სასწაულად აღვიქვი. სხვათა შორის, იგივე დამემართა ერთხელ მექსიკაში ყოფნისას, სრულიად უცხო ადამიანს, როგორც ილიკო სუხიშვილს, ისე გამოვეცნაურე, იმხანად უკვე გარდაცვლილს და ფიქრად ამეკვიატა, რომ იმ გრძელ ქვეყანაში გადმოსულთა სულები მერე სხვა კონტინენტებზე, სხვა ადამიანებში იდებენ ბინას.

ასე იყო თუ ისე, გარკვეული დროით ფიცჯერალდს გადავეყარე ჩემი ახალგაზრდა ნაცნობის მამუკა ვაშაკიძის სახით და როცა მერე უკვე ისიც შევიტყვე, რომ მამუკაც კალმის ტრფიალი იყო და დროდადრო მცირე პროზასაც აქვეყნებდა, კიდევ უფრო გამისახოვანდა უცხო მწერლის მსგავსებაზე ნაფიქრი.

მაშინ მამუკა სულგანათლებული ჯემალ ნინუას „რესპუბლიკაში“ მუშაობდა. მე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გადმოსვლა ვთხოვე, მაგრამ მან, ჯემალს ვერ ვუღალატებო, და, მართლაც, გაზეთის დახურვამდე ჯემალის გვერდით იდგა. ერთგულება და უღალატობა ისევე ამშვენებს ამ ახალგაზრდა ლამაზ კაცს, როგორც მწერლური ნიჭიერება, თუმცა ჟურნალისტიკა, მწერლობის ეს ნახევარძმა თუ ნახევარდა, არცთუ იშვიათად, ცოტა არ იყოს, ხელსაც უშლის მწერლურ კალამს, რაც მთავარია, დროს ართმევს, მით უმეტეს, თუ კალმის ტრფიალ კაცს ყოველდღიური გადაუდებელი საგაზეთო საქმის ერთგულება გამოარჩევს.

დიახაც, ასეთი ადამიანია ჩემი ლამაზი მეგობარი, უკვე სამოცი წლის მამუკა ვაშაკიძე, რომელიც მაინც ახერხებს ჟურნალისტიკისთვის დროის „მოპარვას“ და ახლა სწორედ ამ „ნაქურდალ“ დროში შექმნილი მამუკას „გაჩუქებულ სევდად“ სახელდებული მცირე პროზის კრებული მიდევს წინ. ეს სევდა სხვათა დამასევდიანებელი კაეშანი კი არ არის, პირიქით, ადამიანში ყოვლის უფრო ადამიანურ გრძნობებს აღვიძებს, კერძოდ, თანადგომის სურვილს, გულმტკივნეულობას, გულშემატკივრობას, თანაგრძნობას და, რაც მთავარია, იმის იმედს, რომ ამ უბარაქო წუთისოფელში მარტოსული და მიუსაფარი არა ხარ, შენ გვერდით არიან შენი საყვარელი ადამიანები და ჰაერის ნაცვლად სიყვარულით სუნთქავ.

„გაჩუქებული სევდა“ მამუკა ვაშაკიძის პირველი წიგნია. რა თქმა უნდა, ადრეც შეეძლო თავისი ნოველა-ჩანახატების გამოცემა, მაგრამ აშკარად მეტისმეტად თვითკრიტიკულია და რაც მხატვრულად ღირებულად მიაჩნია, მხოლოდ იმას ამზეურებს, რადგან მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობასთან ერთად ცოტა შიშიც იპყრობს. დროის უქონლობის გარდა, ალბათ, სწორედ ეს პასუხისმგებლობა და შიშია, რომ ცოტას წერს, თუმცა სამაგიეროდ, რასაც წერს, ნაღდი ლიტერატურაა. ცოტა და კარგიო, ნამდვილად ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი.

თვითონ მამუკა ასე მიმართავს, უფრო სწორად, ებოდიშება მკითხველს: „გაჩუქებული სევდა“ დავარქვიო ჩემს პირველ წიგნს. ჩემი ნაფიქრალ-სადარდებელი გაგიზიარეო, ჩემი სევდა გაჩუქეო. თუ ცრემლს მოგადენს და დაგაფიქრებს, გამიხარდება და... ბოდიშს გიხდი გასევდიანებისა და ჩემი დარდის გაზიარებისთვისო. თუ ჩვეულებრივ წაიკითხავ და გვერდით გადადებ, ესეც გამიხარდებაო... რათა ჩემი დარდი ისედაც დასევდიანებულ საქართველოში არ გაგათავისებინოო... არადა, ეს დარდი თუ სევდა მარტო თავისი კი არა, საქართველოს დარდი და სევდაა, ჭეშმარიტი ქართველის გამწმენდელი და ადამიანობის წესზე მომქცევი, როგორც ნიკო ლორთქიფანიძის კითხვისას გვემართება.

ზეპირი ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, აქ „ჩემს კორხოულს“ მოვიშველიებ... კოპიტნარს რომ ჩაუვლის მატარებელი, ასე იწყება **„ჩემი კორხოულის“** ციკლის პირველი ნოველა-ჩანახატი **„იანეთის ბაქანზე აღარ ჩერდება მატარებელი“**: **„ტამბურში გასული მამაჩემი ფილტრამდე დაყვანილ სიგარეტს მოისვრის ფანჯრიდან და კუპეში ბრუნდება. „აბა, დროა ახლა, ჩაიცვით, გაემზადეთ, ხო იცით, იანეთში დიდხანს არ აჩერებს“. რაღა გაღვიძება გვინდა მე და ჩემს დას, რიონის სადგურს რომ გამოვცილდით, იმის მერე ვცქმუტავთ. ყველაზე მძიმე ჩანთებს მამაჩემი წინასწარ გაიტანს ტამბურში, მერე მე მივყვები, შემდეგ ჩემი და თავისი უზარმაზარი თვალებფახულა თოჯინით, რომელსაც ყველგან თან დაატარებს, ბოლოს დედაჩემი. „რამე არ დაგრჩეთ“, — გამოგვძახებს მამა“.**

ანდა განა შეიძლება, რომ ნამდვილმა მკითხველმა, და არა გადამკითხველმა, წაიკითხოს **„ალილოს“** ქვემო ნაწყვეტი და დენის მაგვარმა რამ არ დაუაროს ტანში, დიახ, დენის მაგვარმა და არა უბრალოდ ჟრუანტელმა: **„მივაღწიე ტერენტი ბაბუას ჭიშკარს, ძაღლის ყმუილის ხმაც მომწვდა. ეტყობოდა, არავის უგალობია ალილო. ახლომახლო ნაფეხურები არ ჩანდა. ჭიშკართან შევჩერდი და გავაგრძელე:**

არი-არიელი მარიელი,
ნუ გამიშობ ცარიელი და
ოჰო-ჰოი, ოი ალი-ლოო...

უცებ ძარღვებში სისხლი გამეყინა. ეზოში ზურგიან სკამზე ტერენტი ბაბუა იჯდა. მუხლებამდე თოვლში იყო ჩაფლული, წინ გაწვდილი მარჯვენა ხელისგულზე აბაზიანები და კარალიოკის ჩირი ეყარა, მარცხენა ხელი დაბლა ჩამოვარდნოდა და თოვლში ჩაფლულიყო. თავი უკან გადაეგდო. იმხელა თოვლში გაყინულ პატრონამდე ვერ ბედავდა მისვლას და ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, სამზადისის წინ, ცას შეჰყმუოდა საცოდავი პაკუსია“.

სიტყვის მხატვრული მხურვალება კიდევ უფრო მატულობს, თანდათან **„მტრედებში“, „დონ ჟუანში“, „მარიობაში“, „ოლიფანტეში“**. განსაკუთრებით კი გამოვყოფ **„თუთას“, „წინაპრების ძვლებზე ამოსულს“** და **„პურის ნატეხს“** უკვე თბილისური ციკლიდან, შემაძრწუნებლად სიტყვაკაზმულს.

საერთოდ, ეს ჩემი კალმის ტრფიალი ლამაზი მეგობარი პირდაპირ კინოკადრებს ქმნის. რაზეც და ვისზეც წერს, ყველაფერს და ყველას თვალცხადლივ ხედავ. იმდენად ახლოს ხედავ, რომ ზოგისთვის ხელის ჩამორთმევაც კი გინდება, ზოგისაც მეგობრულადაც გულში ჩაკვრა.

რადგან ჩემთვის მწერალი უწინარესად ენაა, მამუკამ ამ მხრივაც მიიქცია ჩემი გულისყური. ჯერ ერთი, მხატვრულ სურათოვნებას იმერული კილოკავის ზუსტი გამოყენებით აღწერს, მეორეც, სიტყვას საჭიროებისამებრ მარჯვედ მიმოაქცევს **(„გავიორლობოვეთ“, „გადახეივნებულ ეზოში“, „შემოგვეხმატკბილა“, „გავიტალავრეთ“)**.

ამ მცირე წერილის დამთავრება აქ შეიძლებოდა, მაგრამ ვერასგზით გვერდს ვერ ავუვლი **„სამშობლოწართმეულის“** ჩანაწერებს, კრებულის მესამე ციკლს. „სამშობლო“ ჩვენი, ჟურნალისტების, ოფლით აშენებული გამომცემლობაა, სადაც თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი, ტელევიზიები, რადიომაუწყებლობა, სტამბა საქმიანობდა და აი, ერთ ნამდვილად არამშვენიერ დღეს, 2007 წლის აგვისტოში, შენობიდან პოლიციის ძალით უპატრონო ძაღლებივით გამოგვყარა ამჟამად რუსთავის სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულების საკნის ბინადარმა ბოროტმა ექსპრეზიდენტმა. ქუჩაში აღმოვჩნდით თითქმის სამი ათასი ადამიანი, ჟურნალისტები, მხატვრები, მწერლები სხვადასხვა თანამშრომლები... ახლა დგას ეს არამზადა და ვიღაც-ვიღაცების მოსაღორებლად უსირცხვილოდ ტრაბახობს, ქართული სახელმწიფო მე შევქმენიო. და როგორც მამუკა წერს, იქ დარჩა ჩვენი ასობით ჟურნალისტის ცხოვრების ლამაზი დღეები...

ჩვენდა გასაკვირად, „ოცნება“ თითქმის ცხრა წელიწადი შიგადაშიგ და თანაც გაუბედავად ლაპარაკობს ნაციონალთა მიერ ჩადენილ ათას დანაშაულზე, მაგრამ რატომღაც ერთხელაც არ უხსენებია ჩვენი „სამშობლოს“ ტრაგედია. ვიღაც მილიონერ უგულავას, რომელმაც უთუოდ კორუფციული გარიგებით ხელში ჩაიგდო ჩვენი „სამშობლო“ და, კაცმა არ იცის, რა არის ახლა შიგ, უფრო სწორად, რა ხდება ახლა იქ, აზრადაც არ მოსვლია, რომ გარკვეულწილად, სახელმწიფოსთან ერთად, თუნდაც მცირედად, სამაგიეროს ანაზღაურებაზე ეფიქრა და გაცუდებული ბედის ანაბარა არ დავეტოვებინეთ ქუჩაში!

„სამშობლოწართმეული“ მამუკა ჩვენდა გულის მოსაფხანად წერს ყველა **„სამშობლოწართმეულის“** სახელით („კოიას აპატიმრებენ“, „ვაი ჩვენს პატრონს!“). აქ უკვე ჟურნალისტია, რომელსაც ბეჭდური სიტყვის მიმართ ყველა დონეზე გამეფებული გულგრილობა, უფრო მეტიც, სრული უგულებელყოფა და ანგარიშგაუწევლობა აღელვებს, მეტადრე სახელმწიფო სტრუქტურების, განსაკუთრებით კი ქვეყნის ხელმძღვანელთა მხრიდან, რომელთა სუყოველი დილა იმ დღის ბეჭდური სიტყვის კითხვით უნდა იწყებოდეს.

მოკლედ, ათასი რამ ფიქრი ამიშალა თავისი ეშხიანად კაზმული სიტყვით ჩემი აწ უკვე ორჯერ ოცდაათი წლის ლამაზმა მეგობარმა, უთუოდ კალამდალოცვილმა, კარგმა ჟურნალისტმა და კიდევ უფრო უკეთესმა კალმის ტრფიალმა პროზაიკოსმა, რომელიც ახლა სხვა ხალხთა ჟრიამულში გარდასული დროის კეთილშობილ ადამიანებს აცოცხლებს.

გურამ გოგიაშვილი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება, ქალაქ დონეცკში — ინჟინერთა უმაღლესი სკოლის ასპირანტურა. 1991 წლიდან ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მუშაობდა გაზეთებში — „რესპუბლიკა“, „გაუხმაურებელი ფაქტები“, „შანსი“, 1999 წლიდან — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით, ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის სახელობის პრემიებით. არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

მისი ნოველები 1988 წლიდან იბეჭდება და პერიოდულ პრესასა და ლიტერატურულ ალმანახებში. ნოველები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე.

ჭიდაობა

როცა ასე ახლოს იყო მეოთხე „ოქრო“

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში ქართველმა ფალავნებმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეოთხე „ოქროსთან“ ძალიან ახლოს იყო ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

პირველ წრეში მან იოლად სძლია მონგოლ ლხაგვაგერელ მუნკტურს – 11:1, არადა, პეტრიაშვილმა ჭიდაობა ინერტულად დაიწყო და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მისცა – 1:0. ამის შემდეგ კი თავად გააქტიურდა და მონგოლ ფალავანს ზედიზედ 11 ქულა აართვა. მეოთხედფინალში ავსტრიელ იოჰანეს ლუდეშერს აჯობა – 5:0, ნახევარფინალში კი ოლეგ ბოლტინის დასამარცხებლად ორი წუთიც იკმარა – 10:0. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქართველი ფალავანი ირანელთა ტოკიოს თამაშების მესამე პრიზიორს, 20 წლის ამირ ჰოსეინ აბას ზარეს დაუპირისპირდა, ვისაც იაპონიის დედაქალაქში ოლიმპიადის ნახევარფინალი მოუგო. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადებული ირანელი მოჭიდავე აღმოჩნდა, რომელმაც ნახევარფინალში ტაჰა აკგული დაამარცხა. მართალია, გორელმა მოჭიდავემ შერკინება კარგად დაიწყო – თავიდანვე ორი ქულა აუღო მეტოქეს, მაგრამ ზარე პირველი პერიოდის ბოლომდე დაწინაურდა – 3:2. შესვენების შემდეგ ირანელი მთლიანად დაეუფლა უპირატესობას და 9:2 გაიმარჯვა. პეტრიაშვილი ვერცლის მედალს დასჯერდა.



79 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა ნიკა კენჭაძე. წლეულს გაზაფხულზე მან ევროპის ჩემპიონატში დაიკავა მესამე ადგილი, თანაც – ზედიზედ მეორედ, 2018 წელს 23–წლამდელებში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. ნიკამ პირველ წრეში რუმინელ მაქსიმ ვასილოღლუს მოუგო – 5:2, შემდეგ ბერძენი გეორგიოს კოუგიომციდისი დაჯაბნა – 9:5, ნახევარფინალი კი მიკერძოებული მსაჯობის გამო ირანელ მოჰამად აშგარ ნოკოდილარიმისთან 5:6 წააგო. არადა, საფინალო გონგამდე 19 წამით ადრე შეხვედრას იგებდა. სამაგიეროდ, დამამშვიდებლის ფინალში ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლისას 23-წლამდელებში ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსან არმან ავაგიანს (სომხეთი) წარმატების იოტი-სოდენი შანსიც კი არ დაუტოვა – 10:0.

ოსლოს ხალიჩაზე კარგად იჭიდავა წინა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტმა ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ). თავიდან მან ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო – დაამარცხა ოსმან კუბილაი ჩაკიჩი (გერმანია) – 11:0, მასაკი სატო (იაპონია) – 13:2, ირანელთა მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი იონეს ალიაკბარ ემამიჩოგაე – 10:1. ნახევარფინალი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე ოს ევროპის წლევანდელ ჩემპიონ ტაიმურაზ სალკაზანოვთან წააგო: 0:5. ბრინჯაოს მედლისთვის რუს ტიმურ ბიჟოევთან სადავო ორთაბრძოლაში 6:8 დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

მსოფლიოს ჩემპიონი ბექა ლომთაძე (61), ევროპის ფინალისტი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი სანდრო ამინაშვილი (86). მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპის ორგზის ფინალისტი ელიზბარ ოდიკაძე (97) შეჯიბრებას ნაადრევად გამოეთიშნენ.

ლექსო ციცაძე.

მარცხნიდან პირველი გენო პეტრიაშვილი

რაგბი

საქართველო-ჩეხეთი 76:0

კალინინგრადში (რუსეთი) დაიწყო 18 წლამდელ მორაგბეთა რვაგუნდა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები ბოლო ორი მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულია. 2018 წლის ფინალში საფრანგეთს, შარშანწინ ესპანეთს აჯობა, 2020 წელს კი კოვიდპანდემიის გამო პირველობა ჩაიშალა.

ბოლო ჩემპიონატი ჩვენმა მორაგბეებმა სწორედ კალინინგრადში მოიგეს და, ეტყობა, ორი წლის წინანდელი წარმატების გამეორება სურთ. სასტარტო მატჩში ქართველებმა ჩეხები 76:0 დაამარცხეს. ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: საბა არჩვაძე, შალვა აფციაური, თორნიკე კახოიძე, პეტრე ხუციშვილი (კაპ.), დავით ხუროშვილი (ყველა – „ლელო“); ზურაბ ონიანი („არმაზი“), ლუკა სახელაშვილი („ლოკომოტივი“), გიორგი მამაიაშვილი, ნიკოლოზ ბაბუნაშვილი, ბადრი ციხისთავი, ნიკოლოზ კინწურაშვილი, ლაშა ციხისთავი (ყველა – „ლელო“), ნიკა ლომიძე („ხარები“), თორნიკე ბაიხოიძე („ხვამლი“), გიგი ქურხული („ვეფხვები“); **მარქაფა:** თორნიკე ბოყოველი, ნიკოლოზ სუთიძე, დიტო ბერაია, ვაჟა მიქაძე, ალექსანდრე ჯიღაური (ყველა – „ლელო“); ლაშა ფხაკაძე, გიორგი გერგედავა (ორივე – „აია“), ირაკლი აფციაური („გრენობლი“); რატი ზაზაძე („არმაზი“), დავით იმნაძე („იუნკერები“), ლაშა ცხოვრებაძე („ვეფხვები“); მთავარი მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი, მწვრთნელები – პაატა მაისურაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი.

6 ოქტომბერს ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები შეხვდება ბელგიის გუნდს, რომელმაც მასპინძელ რუსეთს აჯობა – 21:10. მეორე ნახევარფინალში ესპანეთი და პორტუგალია გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. მეოთხედფინალში პირენეელებმა რუმინეთს სძლიეს – 45:8, პორტუგალიელებმა კი ნიდერლანდელები ჩამოიშორეს გზიდან – 25:15.

გივი გაგუა

ფვარიკაობა

14 წლის კუვაევა გრან პრიზეც იასპარეზებს

18 ძვეყნის 139 მოხმალავე გოგონა მონაწილეობდა უნგრულ გიოდიოლოში კადეტ (17-წლამდელები) მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა 14 წლის თბილისელი ალექსანდრა კუვაევაც, რომელიც საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა.

ჯგუფში მან ოთხი მეტოქე დაამარცხა – ანა ლუკა ნადი (უნგრეთი, 5:2), დილა ერდოღანი (თურქეთი, 5:1), ოლჰა ნეჩაი (უკრაინა, 5:3), ანასტასია ჰირშფელდი (გერმანია, 5:1). საგულისხმოა, რომ გერმანელმა ჯგუფში ერთადერთი ორთაბრძოლა წააგო და ისიც კუვაევასთან. ჩვენებურს კი ბერძენმა ანა კურუსიმ (5:2) და უნგრელმა ბორკოკა ბრენერმა (5:4) აჯობეს. პლეი ოფში საქართველოს ნაკრების წევრმა სამი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან – უნგრელი ნადინ ტოტი - 15:13, უკრაინელი ვიკტორია კოროტჩენკო - 15:4, პოლონელი ემილია ჰაბრინი - 15:14 და მეოთხე ორთაბრძოლაში უკრაინელ სოფია პოლონკასთან ვერაფერს გახდა - 8:15. კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: 1. სენდი კონია (უნგრეთი), 2. კალინა ათანასოვა (ბულგარეთი), 3. კონსტანტინა კეფალა (საბერძნეთი) და ამალია სტანი (რუმინეთი).

ალექსანდრა კუვაევა 12 ნოემბრიდან ფრანგულ ორლეანში უფროსების მსოფლიოს გრან პრიში მოსინჯავს ძალებს. საქართველოდან აქ მასთან ერთად იასპარეზებენ მოხმალავეები - სანდრო და ბექა ბაზაძეები, ვაჟა რეჭია, ლიკა ჯიჯეიშვილი, ნუკოლას როუსეტი (რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო) და, შესაძლოა, ევროპის 2017 წლის ჩემპიონი თეოდორა კახიანი.

ლაშა დიდია

ო, ენავ ჩემო!

„მეთულუხჩე“ თუ „მერწყულე?“

ამას წინათ ინტერნეტში ვათვალიერებდი ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის გადაღებულ ფოტოებს. ყურადღება რამდენიმე სურათმა მიიპყრო, რომლებზეც ცხენით წყლის მზიდავები არიან აღბეჭდილი რუსული წარწერით – **„თულუხჩი“** (ერთ-ერთს აქვე გთავაზობთ). ცნობილია, რომ ძველ თბილისში მოსახლეობა სასმელი წყლით, ფაქტობრივად, მდინარე მტკვრიდან მარაგდებოდა. კამეჩის ან ხარის ტყავისგან დამზადებული რუმბებით, ანუ თულუხით ეზიდებოდნენ წყალს. ერთ-ერთ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ თბილისში წყალმომარაგების გაუმჯობესებამ „მეთულუხჩეების პროფესიის თანდათან გაქრობა გამოიწვია“. ერმაკოვის ფოტოებზე ქართულად წარწერებიც ასეა გაკეთებული – **„მეთულუხჩე“**.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ერთტომეული, 1986) მიხედვით, **„თულუხი“** თურქული სიტყვაა, 1. წყლის საზიდავი (ცხენით ან მისთ.) რუმბი ან კასრია, 2. დიდი თუნგია (იციან მთაში), (გვ. 242). მისგან არის ნაწარმოები ასევე თურქული სიტყვა **„თულუხჩი“** – ივივეა, რაც **„მეთულუხე“** (ქეგლ გვ.242) და არა **„მეთულუხჩე“** (რაც შეცდომაა, რადგან -ჩ მოქმედი საგნის აღმნიშვნელია. მაგალითად, „ჩორაქ“ არის პური, „ჩორაქჩი“ – მეპურე). ქეგლ-ის განმარტებით, **„მეთულუხე“** (ძვ.) თულუხით (მნიშვნ. 1) წყლის მზიდავია (გვ. 288)..



„ტფილისური თულუხჩი“ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ქართულ მეტყველებაში. საქმე ის არის, რომ, რაგბის თამაში წესებით, მორაგბეთა დასარწყულებლად მოედანზე შემავალ კაცს ინგლისურად „ვოთერ ქერიერ“ ჰქვია, რასაც ქართველებმა „ტბილისური თულუხჩი“ შეუსაბამეს.

თურქული სიტყვების – **„თულუხისა“** და **„თულუხჩის“** აღორძინებას ქართული ტერმინის დამკვიდრება ხომ არ აჯობებდა?!

ზემოთ აღინიშნა – მორაგბეთა დასარწყულებლადო, ქართულში კი იმ ადამიანის აღსანიშნავად, ვინც არწყულებდა, გვქონდა ტერმინი **„მერწყული“** – (ძვ.) წყლის მზიდავი (ქეგლ გვ. 289), რომელსაც დღეს მხოლოდ ასტროლოგიაში ვხვდებით. თუმცა იყო იმავე მნიშვნელობის მეორე ტერმინი **„მერწყულე“** (სიტყვიდან „არწყულებს“ ხელობის მე-ე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით (ლექსიკონი ქართული, 1, მერანი, თბ., 1991, გვ. 465), **„მერწყული“** წყალთ მზიდავია (წყლის მზიდავი) ან ზოდიაქო (ესენი არიან სახელნი და ნიშანნი მათ(თა)ნი და რომელთა თთვესა მიითვალავს მზე მათ: მერწყული – იანვარსა 20). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის (გვ. 233) მიხედვით, **მერწყული, მერწყულე** წყლის მომტანს ნიშნავს („იყვნენ იგინი მრეშუველი (მრეშველი – მეშეშე) და მერწყულე“; „არა მოგაკლდეს თქუენგან მონა, მრეშუველი და მერწყული“; M. ისუ 6. 9.21 და 23). თულუხს, თულუხჩსა და მეთულუხეს საბას და აბულაძის ლექსიკონები არ იცნობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, **„თულუხჩის“** (ან არასწორი ფორმა **„მეთულუხჩის“**) ნაცვლად, **„მერწყულე“** („მერწყული“ უფრო ზოდიაქოსთან ასოცირდება) დაგვემკვიდრებინა?

ვაჟა დანელია

ვახტანგ ძაბირაძე: მეორე ტურში კალაძე დამაჯერებლად გაიმარჯვებს

(მეოთხე გვერდიდან)

— ითქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი დაკავებამდე 4 დღით ადრე ჩამოვიდა საქართველოში...

— მისი მოქმედება არის ალოგიკური და გაუგებარი. არ ვიცი, რას აპირებდა. ამიტომ ჩნდება კითხვა, ხომ არ იყო ეს ნაწილი რაღაც გარიგების, კითხვა ჩნდება და ამას უნდა უპასუხოს სააკაშვილმა.

— ოპოზიცია ამბობს, რომ მალე ექსპრეზიდენტი საპატიმროდან გათავისუფლდება, თუმცა, კონკრეტულად რა გეგმა აქვს ოპოზიციურ სპექტრს, ცნობილი არ არის. რა ბერკეტები არსებობს ამისთვის? პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მკაფიოდ განაცხადა, რომ სააკაშვილს არ შეიწყალებს და არ მოხდება ამნისტია. დაიწყება თუ არა საპროტესტო გამოსვლები?

— კრიტიკის თვალსაზრისით ყველაზე სუსტია ის, რომ სააკაშვილი გადაცენ ისევ უკრაინას, რადგან უკრაინის მოქალაქეა. მის დაპატიმრებას ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებში დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. მას, დიდი ალბათობით, ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერა არ ექნება. საპროტესტო აქციები შეიძლება დაიწყოს, მაგრამ ეს აქციები არ იქნება ისეთი მასშტაბის, რომ მან რაღაც შედეგი გამოიღოს.

ხელისუფლების ერთადერთი ნაბიჯია, თუ ამას მოინდომებს, აქციების ხარჯზე კი არა, უკრაინის მოთხოვნის ხარჯზე გააბრუნოს საკაშვილი უკრაინაში, მაშინ ეს ამყარებს ეჭვს, ხომ არ იყო ეს გარიგების შედეგი, მისი ჩამოსვლაც და ისიც, რომ ის უკრაინას გადასცა უკან — წინასწარ ხომ არ იყო შეთანხმებული? სააკაშვილის პრობლემის გადაწყვეტა მისთვის რთული იქნება.

— მოსალოდნელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

— ვადამდელი არჩევნები შეიძლება იყოს, მაგრამ არა გაზაფხულზე, არამედ შემოდგომაზე, ოღონდ ეს გამოწვეული იქნება სოციალური მდგომარეობით, რომელიც ძალიან მძიმეა ქვეყანაში. ამ ვითარებას ხელისუფლება რამდენად გაართმევს თავს, ამაზეა დამოკიდებული. ასე რომ, ჩვენ შეიძლება მივიღოთ სოციალური პროტესტი და არა პოლიტიკური. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ვადამდელი არჩევნები იყოს სწორედ აქედან გამომდინარე, სხვა მხრივ ვადამდელ არჩევნებს არ ველოდები.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

მუნასიბები მეორე ტურამდე

მოვა ყვარყვარე?

— მე ისევ მოვალ! — ამბობს
ყვარყვარე
და მის ორეულს რა შეგვაყვარებს?
თუმცა ნაცარი კვლავ შეგვაყარეს
და ზოგი ცრემლებს რომ
აღვარ-ღვარებს
პასუხად ცერცვი რომ შევაყაროთ,
ისწავლის ვითომ ჭკუას ყვარყვარე?
ვთქვათ, გადავეცით ბატონ ზელენსკის,
ღირს მაოხრებელ გზირთან ეს რისკი?

სირცხვილია, ქუთაისო!

თავი იმ დღეს შევირცხვინეთ,
მშობლიურო ქუთაისო,
შვილს ლამის რომ ვამჯობინეთ,
რძალი — სულის მხუთავისო.
სინდისი რომ გატიალდა,
ვეღარ უნდა მიხვდეს განა?
ვისაც ჯერა ხატიასგან
პარლამენტის ქუთაისში
დაბრუნების ზღა-პრო-ბანა?

ალექსანდრე შენგელია,
ძირძველი ქუთაისელი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე,

შეზღუდვები ნელ-ნელა იხსნება

ქვეყანაში **არსებული ეპიდემიოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, კვების ობიექტების მუშაობა დღეიდან ერთი საათით გახანგრძლივდება და ისინი 22:00 საათის ნაცვლად, მუშაობას 23:00 საათამდე შეძლებენ; იხსნება კონცერტებისა და ფესტივალების გამართვასთან დაკავშირებული შეზღუდვა და მათი ჩატარება შესაძლებელი იქნება რეგულაციების დაცვით, — აღნიშნული გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ გუშინდელ სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.**

საბჭოს გადაწყვეტილებით, 9 ოქტომბერს დაგეგმილ საქართველო-საბერძნეთის საფეხბურთო მატჩზე დაიშვება მაყურებლის 33%, სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტით, 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტის ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტის უარყოფით პასუხით, ან ბოლო 6 თვის განმავლობაში კორონავირუსული ინფექციის გადატანის დამადასტურებელი ცნობით.

საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესზე და მიიღო გადაწყვეტილება, აცრების ინტენსივობის გაზრდისა და ვაქცინაციაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მობილური ბრიგადები გაიგზავნოს რეგიონებში, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში, რათა აცრის მსურველ მოქალაქეებს მათ სერვისი ადგილზე მიაწოდონ. ამასთან, შესაბამისი უწყებების მხრიდან კვლავ გაგრძელდება დადგენილი რეგულაციების აღსრულების მკაცრი კონტროლი. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ატარონ პირბადე, როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეებში, დაიცვან სოციალური დისტანცია და ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში.

წახალისების პროგრამა ოჯახის ექიმებისა და ექთნებისთვის

ჯანდაცვის **სამინისტრო, ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრი აქტიურად გეგმავს სოფლის დონეზე ვაქცინაციის კამპანიის გააქტიურებას და და ვფიქრობთ, რომ 15 ოქტომბრიდან გვექნება საშუალება დავიწყოთ ვაქცინაციის მარათონი „სოფლად ვაქცინაციის გააქტიურებისთვის“,** — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ განაცხადა.

მისივე თქმით, კვირის ბოლოსთვის გაეშვება ოჯახის ექიმებისა და ექთნებისთვის წახალისების პროგრამა.

„პროგრამა ითვალისწინებს ვაქცინაციაში 60 წლის ზემოთ მოსახლეობის მოზიდვისთვის ჩაღრმავებულ კონსულტაციას და მათ ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პირის აცრა“, — განამარტა მინისტრის მოადგილემ.

იაპონიაში ახალი ვირუსი აღმოაჩინეს

იაპონელმა **მეცნიერებმა ახალი ვირუსის იდენტიფიცირება შეძლეს, რომელიც ტკიპის ნაკბენის შედეგად ვრცელდება.**

იაპონიაში უცნობი პათონოგენით ინფიცირების შემთხვევები 2014 წელს გამოვლინდა. 2020 წლამდე უცნობი ვირუსით ინფიცირების 7 შემთხვევა გამოვლინდა. ვირუსს ახასიათებს ცხელება, ხოლო პაციენტების სისხლში მცირდება ლეიკოციტების და თრომბოციტების რაოდენობა. იაპონელმა მკვლევრებმა ვირუსი ორი პაციენტის სისხლში აღმოაჩინეს, რამაც მათ ახალი პათოგენის გენეტიკური ანალიზის ჩატარების საშუალება მისცა. ანალიზმა აჩვენა, რომ ვირუსი Orthonairovirus პათოგენს მიეკუთვნებოდა. ანალოგიური პათოგენი აქვს კონგო-ყირიმის ვირუსს.

2019 წელს კუნძულ ჰოკაიდოზე მცხოვრებმა ორმა პაციენტმა ტკიპის ნაკბენის შემდეგ კლინიკას ცხელების ჩივილებით მიმართა. პაციენტების სისხლის ანალიზში უცნობი ვირუსი აღმოჩნდა. ექიმებმა სისხლის ნიმუშები 2014 წელს ინფიცირებული პაციენტების ანალიზს შეადარეს, რომელთაც უცნობი ვირუსის შედეგად ცხელება გამოუვლინდათ.

ხსოვნა

დამსახურებული პედაგოგი და აღმზრდელი ლამარა გეგენავა

89 წლის ასაკში გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ღვაწლმოსილი და მრავალი თაობის აღმზრდელი, ქალბატონი ლამარა გეგენავა.

ლამარა გეგენავა დაიბადა 1932 წელს ქალაქ სენაკში, დაამთავრა მე-2 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1955 წელს მუშაობა დაიწყო ცხაკაიის (ახლანდელი სენაკი) პირველ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. 14-წლიანი ნაყოფიერი საქმიანობის შემდეგ გადაიყვანეს ცხაკაიის მე-7 საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, სადაც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე იღვაწა.

ლამარა გეგენავა 1971-79 წლებში გახლდათ ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში, ხოლო 1995 წლიდან თორმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლას. 1973 წელს დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“, 1978-1987 წლებში განათლების სამინისტრომ უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1990 წელს მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება მიანიჭა. 1997 წლიდან იყო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, 2014 წელს მიენიჭა „რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდება“.

ლამარა გეგენავა დიდ ყურადღებას უთმობდა კლასგარეშე საწრეო მუშაობას. სენაკის მხარეთმცოდნეობის წრე და მისი წევრები არაერთხელ დაუჯილდოებიათ დიპლომებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა რაიონულ-მეთოდურ გაერთიანებას, დიდ ყურადღებას უთმობდა დამწყები პედაგოგების საქმიანობას. ქალბატონი ლამარას დამსახურებით სკოლამ რამდენჯერმე მიიღო გრანტი, გაიმარჯვა 2015 წელს გამოცხადებულ კონკურსში „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“.

იგი გახლდათ სულით პედაგოგი, უმწიკვლო ადამიანი, მოსიყვარულე დედა და ბებია. ასეთი ადამიანების ნაღვაწი უკვალოდ არ იკარგება, მისი ღვაწლი თაობებს გადაეცემა. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს მრავალათასიან აღზრდილთა გულებში.

დემურ გადელია, გურამ ადანაია, ტარიელ დგებუაძე, ანზორ ცაგურია, ვახტანგ გადელია, მამუკა გადელია, გია ადამია, ლირა ჯღარკავა, რაულ ქავთარაძე, მარინა აბრამია, იამზე ხარებავა, თამაზ გადელია, ალან თოდუა, ტიტიკო კეკელია, დავით გვარამია, პაატა დგებუაძე, დამირ კუჭავა, ბიძინა ტაბაღუა.

დემურ და ვახტანგ გადელიები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრის, შესანიშნავი პიროვნული თვისებებით აღვსილი ქალბატონის, მრავალი წარმატებული მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის, აღმზრდელისა და პედაგოგის

ლამარა გეგენავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ოთარ ტურაბელიძე, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, დალი ხუნდაძე, ირმა ირემაშვილი, ვატული ნადირაძე, ბონდო ქურდაძე, ვახტანგ დგებუაძე გულითად სამძიმარს უცხადებენ ლალი, მალხაზ და გოჩა დვალებს მეუღლისა და სიძის

ზურაბ მაღრაძის

გარდაცვალების გამო.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

„ᲡᲬᲝᲠᲔᲓ თქვენ მიერ გაზიარებულ ცოდნაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. მინდა წარმატება გისურვოთ ამ უმნიშვნელოვანეს, ურთულეს და საპატიო პროფესიაში! გისურვებთ კიდევ მრავალი ღირსეული თაობის აღზრდას, რასაც უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურებით.

ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესი — ხარისხიანი განათლება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ამიტომაც მინდა ერთად ვიზრუნოთ ჩვენს ახალგაზრდებზე. მჯერა, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, რაც მათ წარმატებული გზის არჩევაში დაეხმარება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, მადლობას გიხდით იმ დიდი ღვაწლისთვის, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ეწევით და ქედს ვიხრი თითოეული თქვენგანის წინაშე“, — აღნიშნულია მიხეილ ჩხენკელის მილოცვაში.

მასწავლებლის საერთაშორისო დღე 1994 წლის 5 ოქტომბრიდან აღინიშნება.

„ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ... ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡ სადებიუტო ანიმაციური ნამუშევარი, „მიტოვებული სოფელი“, ოტავას ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე დააჯილდოვეს.

ფილმს გადაეცა ჯილდო საუკეთესო დიზაინისთვის. ნამუშევრის მხატვარი ირაკლი ტოკლიკიშვილია, რეჟისორი — მარიამ კაპანაძე, ხოლო პროდიუსერი — მარიამ კანდელაკი. „მიტოვებული სოფელი“ შექმნილია კინოსტუდია „კვალი XXI“-ისა და „ქართული ფილმი-აფხაზეთის“ ბაზაზე, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ „ᲡᲘᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ“

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ მულტსერიალის „სიმფსონების“ სპეციალურ ეპიზოდში გმირები Balenciaga-ს ახალ კოლექციაში გამოეწყვნენ და პოდიუმზე გაიარეს.

10-წუთიანი ეპიზოდის სიუჟეტის მიხედვით, მარჯ სიმფსონს დაბადების დღეზე Balenciaga-ს კაბის მიღება სურს და სპეციალურად მისთვის კაბას სპრინგფილდში მოდის სახლის კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია აგზავნის. ეპიზოდი პარიზის მოდის კვირეულზე აჩვენეს. მოგვიანებით კი გვასალიამ განმარტა, რომ „სიმფსონებს“ 10 წლიდან უყურებდა და სერიალის თაყვანისმცემელი იყო. მან შოუს პროდიუსერს, მეტ გროუნენიგს თანამშრომლობის შესახებ ელექტრონული წერილი მისწერა, გროუნინგს კი დიზაინერის იდეა მოეწონა. სერიალის გუნდმა სცენარი მოამზადა, რომელშიც გვასალიამ მცირე ცვლილებები შეიტანა: დიზაინერმა ჩაამატა სცენა, რომელშიც ჰომერ სიმფსონს ცეცხლი ეკიდება, გვასალია კი მის ჩაქრობას შამპანურით ცდილობს.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲔᲑᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲗᲘᲥᲕᲐᲗ!..

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლები 2021 წლის საზღვაო სეზონზე გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის დაჯილდოვდნენ.

მათივე ინფორმაციით, სპეციალური სამახსოვრო საჩუქარი სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ლაშა თვაურმა ხუთ მაშველს გადასცა. სულხან კაჭარავა, გიორგი გოგეშვილი, გიორგი მშვიდობაძე, გურამ შარაშიძე და ნინო სალუქვაძე მთელი სეზონის განმავლობაში სხვა მაშველებთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლზე და ზრუნავდნენ მოქალაქეთა უსაფრთხო დასვენებაზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის საზღვაო სეზონის დაწყებიდან დღემდე, შავი ზღვის სანაპიროზე წყალში მყოფი 350-მდე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. გარდა ამისა, მაშველებმა სანაპიროზე იპოვეს და დაეხმარნენ 50 გზააბნეულ მოქალაქეს, მათ შორის, უმრავლესობა არასრულწლოვანი იყო. სანაპიროზე მორიგეობისას, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 31 დამსვენებელს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები გურიის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონში შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, ასევე, რაჭაში — შაორის ტბაზე, თბილისის ზღვაზე და სხვა ტურისტულ ზონებში ყოველდღიურად მორიგეობენ და მოქალაქეთა უსაფრთხო დასვენებაზე ზრუნავენ. 2021 წლის ტურისტული სეზონის განმავლობაში, სხვადასხვა ლოკაციაზე, 300-ზე მეტი მაშველი მუშაობს და საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეებს შესაბამის დახმარებას უწევენ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ 8 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲪᲘᲧᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲐᲙᲐᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ბილ ფიშერი, **რომელიც ჩრდილოეთ დაკოტაში ცხოვრობს, 8 წელია საკუთარი ავტომობილის ციყვისგან დაცვას ცდილობს.**

ყოველ წელს ციყვი კაცის ავტომანქანაში, ძრავთან ზამთრისთვის კაკალს აგროვებს. 56 წლის ბილ ფიშერი აცხადებს, რომ ციყვთან 8-წლიანი „ომით“ დაიღალა.

„ამ ჟღალ ციყვს 2013 წლიდან ვიცნობ. მას უკვე აქვს ერთგვარი რიტუალი, რომ ყოველ წელს ჩემი სატვირთო კაკლის შესანახ საწყობად გამოიყენოს“, — ამბობს ფიშერი. ციყვმა ტრადიცია არც 2021 წლის შემოდგომაზე დაარღვია და 70 კილოგრამი კაკალი ისევ ავტომობილში შეაგროვა.

ᲨᲔᲠᲝᲜ ᲡᲢᲝᲣᲜᲘ - ᲞᲐᲞᲐᲠᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ მსახიობი შერონ სტოუნი პაპარაცების ობიექტივში **მოხვდა. მას პაპარაცებმა საფრანგეთში ფოტოსესიის დროს გადაუღეს. ამის შესახებ Daily Mail წერს და შესაბამის ფოტოებსაც აქვეყნებს.**

ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა. 63 წლის მსახიობი სანაპიროზეა. მას შავი ქვედაბოლო აცვია ხოლო სხეულზე ოქროსფერი მეტალის კორსეტი აქვს დამაგრებული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1411; ᲔᲕᲠᲝ - 3.6487;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2669;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3047; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3541;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8473;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4781.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+11
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+15
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+11,	ᲓᲦᲔ	+13

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge